კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ანი ახვლედიანი

ჰიბრიდული ომი, როგორც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ახალი გამოწვევა და ნატოს სტრატეგიული კონცეფცია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, ასისტენტი ლევან ნიკოლეიშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

კონფლიქტის ახალი ფორმის, ჰიბრიდული ომის აღმოცენება საფუძვლიანად ცვლის უსაფრთხოების არსებულ ლანდშაფტს და აჩენს უამრავ კითხვას არა მარტო იმ საფრთხეების ბუნების შესახებ, რომელთა წინაშეც ვდგავართ, არამედ უსაფრთხოების არსებული ინსტიტუტების უნარს, წინ აღუდგეს ამ საფრთხეებს, აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. ეს ერთმნიშვნელოვნად მოახდენს გავლენას ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით მიმდინარე განხილვებზე, მაგრამ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მოახდენს გავლენას გაფართოებული შეკავების იდეის საიმედოობასა და ალიანსის უნარზე, ეფექტიანად აღუდგეს წინ ამ გამოწვევებს.

მოცემული ნაშრომით შევეცადეთ, დაწვრილებით აღგვეწერა ჰიბრიდული ომის მიმდინარეობის მეთოდები, მათი გავლენა საზოგადოებაზე და ამ ყოველივესთან გასამკალვებლად ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი. ასევე საქართველში ჩატარებული კვლევის საფუძველზე წარმოგვეჩინა საზოგადოების განწყობა და მათი მიდგომები ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების თაობაზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კი გავეცით რეკომენდაციები, როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების სკეპტიკური განწყობის ცვლილლება და ასევე რა უნდა განხორციელდეს სხდასხვა სფეროში, რომ ჩვენი ქვეყანა წინ აღუდეს ჰიბრიდულ საფრთხეს.

Annotation

The hybrid war as a new Euro-Atlantic security challenge and NATO's strategic concept

The emergence of a new form of conflict or a hybrid war thoroughly changes the landscape of security and also raises a lot of questions not only on the nature of the threats we face, but also the ability of the security institutions to stand up for these threats.

This will undoubtedly affect the ongoing discussions on NATO expansion, but what is more important and interesting will impact the reliability of the argument and the ability of the Alliance to effectively resist these challenges.

With this work, we have reviewed the methods of hybrid warfare, their impact on the society and the role of NATO and other international organizations in order to excuse them. Also, on the basis of research conducted in Georgia, we presented the attitude of the public and their approaches to integration into the Euro-Atlantic space. Based on the results of the survey, we gave recommendations on how to change the skeptic attitude of the society and what should be done in different spheres that our country has to go ahead with the hybrid threat.

Ani Akhvlediani

სარჩევი

შესავალი 5

თავი პირველი. ჰიბრიდული ომის ისტორიული პერიპეტიები და თანამედროვე გამოწვევები .. 11

1.1 „ჰიბრიდული ომი“ - ტერმინის წარმომავლობა და გამოყენების არეალი 11

1.2 ჰიბრიდული ომის წარმოების მეთოდები XXI საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკაში 16

1.3 რუსული ჰიბრიდული ომის ფენომენი და დასავლეთის საპასუხო ნაბიჯები 24

თავი მეორე. NATO და ჰიბრიდული ომიდან მომდინარე საფრთხეები 31

2.1 ნატოს როლი ჰიბრიდულ ომთან ბრძოლაში 31

2.2 ევროკავშირის ჩართულობა და მიდგომები ჰიბრიდულ ომთან გასამკლავებლად 35

2.3 ხისტი ძალის ფაქტორი ჰიბრიდულ ომში 36

თავი მესამე. რბილი ძალის ფაქტორი ჰიბრიდულ ომში 39

3.1 რბილი ძალა და მისი გამოყენების პოლიტიკური განზომილება 39

3.2 რბილი ძალის გამოყენების მეთოდები და სახეები 46

3.3 მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი საინფორმაციო ომში 59

დასკვნა 63

ბიბლიოგრაფია 70

შესავალი

თემის აქტუალობა რუსეთ-უკრაინისა და სირიის კრიზისებმა კიდევ ერთხელ გახადა თვალსაჩინო, რომ ჰიბრიდული ომი დასავლური სამყაროსთვის და ასევე ნატო-სთვის ერთ-ერთი მთავარი უსაფრთხოების გამოწვევაა. რუსულმა სამხედრო სტრატეგიებმა და მოქმედებებმა, რომელსაც დასავლეთი მოიხსენიებს ,,ჰიბრიდული ომის“ სახელით, შექმნეს მნიშვნელოვანი პრობლემა უსაფრთხოების მიმართულებით დასავლეთისთვის, რამაც მიგვიყვანა ნატო-ს სამხედრო სისტემის ტრანსფორმაციამდე.

საკვლევი კითხვები:

- რა საფრთხეებს შეიცავს და რა გავლენას ახდენს გლობალურ უსაფრთხოებაზე ჰიბრიდული ომი?
- რამდენად არის მზად ნატო თანამედროვე გამოწვევების ფონზე დაიცვას ალიანსის უსაფრთხოება და რამდენად ეფექტიანია ნატოს სტრატეგიული კონცეფცია ჰიბრიდული ომთან საბრძოლველად?

ჰიპოთეზა:

თანამედროვე გლობალურ უსაფრთხოების გარემოზე ჰიბრიდული ომი ახდენს მნიშვნელოვან გავლენას, რაც ასევე გულისხმობს დიდ საფრთხეებსა და გამოწვევებს. ნატო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ამუშავებენ კონცეფციებსა და სტრატეგიებს ამ საფრთხესთან საბრძოლველად.

ნატოს სტრატეგიული კონცეფციები ჰიბრიდულ ომთან საბრძლოლველად ეფექტიანია, თუმცა ის საჭიროებს მუდმივ განახლებას, რადგან თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოში ჰიბრიდული ომიდან მომდინარე საფრთხეები არის ცვალებადი.

რუსეთის მიერ წარმოებულმა კამპანიამ აღმოაჩინა უკრაინა ჰიბრიდული აგრესიის მსხვერპლი ქვეყნის როლში. ეს ყოველივე კი რაციონალური დასავლეთისათვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. სწორედ ამ ყველაფერმა გამოიწვია ის ის აჟიოტაჟი, რაც გავრცელდა მეცნიერულ, პოლიტიკურ თუ სხვა წრეებში თითქოსდა კაცობრიობის წინაშე წარმოიშვა, რაღაც ახალი, აქამდე უცნობი საფრთხე, რომელსაც მალევე გამოუნახეს ერთგვარად ოდიოზური სახელი _ „ჰიბრიდული ომი“. ზოგი ექსპერტისთვის ამ ტერმინში ხაზ გასასმელია მხოლოდ მის სამხედრო-მილიტარისტულ შემადგენელს „ომს“. შესაბამისად, ისინი ცდილობენ გამოსავლის მოძებნას სამხედრო გადაწყვეტილებაში და ამ გზით მის „დამარცხებას“ , მაგრამ პანაცეას არ წარმოადგენს ამდაგვარი მიდგომა . მხოლოდ ახალი სახელის

გამოგონება, რაც რეალურად არც თუ ისე ახალია , გამოსავალს ვერ გვაპოვნინებს. სამეცნიერო და არა მხოლოდ სფეროები იყენებენ შემდეგ კონვენციებს: არაკონვენციური, ასიმეტრიული, არარეგულარული და ა.შ, რომლებიც, ფაქტობრივად, იგივე ქმედებებს გულისხმობს. მთავარი, რაც „ჰიბრიდულ ომს“ გამოარჩევს, არის მისი უფრო ფართო სპექტრით გამოყენება, რომლის დროსაც შესაძლოა საქმე სულ არ მივიდეს საბრძოლო მოქმედებებამდე (ყირიმის მაგალითი). „ჰიბრიდული ომი“ - ძალისხმევის უფრო ფართო მასშტაბით მიმართვა და ისეთი მექანიზმების გამოყენებაა როგორიცაა: ინფორმაცია, რელიგია, ეკონომიკა, სოციალური ფონი, ენერგო-უასფრთხოება, მასმედია, კულტურა, კრიმინალური სამყაროც კი, ამას დამატებული 21-ე საუკუნის უახლესი ,,ქმნილება“ - კიბერ-ომი და ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, კონვენციურ და არაკონვენციურ საბრძოლო მოქმედებებთან ერთობლიობაში. აღნიშნული მოვლენა, ასევე შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგნაირად - ღია და ფარული მოქმედებების კომბინაცია, შანტაჟის, ზეგავლენის, იძულების, პროვოცირების, საბოტაჟისა და სხვა ყველა ხელთ არსებული მეთოდების გამოყენებით, პასუხისმგებლობისა და ბრალის სხვაზე გადაბრალებით, რაც განსაკუთრებით ართულებს სათანადო რეაგირებას. უკრაინის კრიზისის სწრაფმა განვითარების სირთულემ მოიცვა და სრულ შოკში ჩააგდო როგორც ამ უკანასკნელის ახლად არჩეული მთავრობა, ასევე დასავლეთის ქვეყნებიც. რუსული სპეც-დანაყოფებისა და პრო-რუსი სეპარატისტების, რუსული დიპლომატიისა და მედია-საშუალებების აქამდე უპრეცედენტო ოსტატობით კოორდინირებული და კარგად ორგანიზებული ქმედებები, ექსპერტთა წრეებში ჰიბრიდული ომის სახელით დამკვიდრდა. ამის შემდგომ მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი კვლევითი ცენტრი ალაპარაკდა ჰიბრიდულ ომზე და მას შემდგომ ცდილობდა გაეშიფრა ზემოთ ხსენებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ , დღესდღეობით „ჰიბრიდული ომს“, როგორც ტერმინს აქტიურად იყენებენ პოლიტიკურ და არა მხოლოდ ამ წრეებში. მისი მსოფლიო პოლიტიკის სცენაზე პოპულარობის პერიოდად დაახლოებით ბოლო ათწლეულით განისაზღვრება.

თემის მიზნები

- წარმოვაჩინოთ ჰიბრიდული ომისგან მომდინარე საფრთხე როგორც 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უახლესი და ძალიან მნიშვნელოვანი ასიმეტრიული გამოწვევა;
- განვიხილო ჰიბრიდული ომის კონკრეტული მაგალითები და მათ შედეგებზე დაყრდნობით ვისაუბროთ გავლენებსა და ზიანზე, ასევე გავრცელების მასშტაბებზე.

თემის ამოცანები:

- ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლის წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა აქტორების გამოცილებებზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბო გარკვეული რეკომენდაციები ამ მოვლენასთან სარძოლველად და გასამკლავებლად.

დროთა განმავლობაში, ევროა-ტლანტიკურ არეალში მატულობს იმ კონფლიქტების რიცხვი, რომლებიც „არ პასუხობს ომის დასავლურ დეფინიციას " და აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთი სახის კონფლიქტების ანალიზზე დაყრდნობით არის მიღებული თანამედროვე შეხედულება ჰიბრიდული ომის თაობაზე, რომელშიც კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად, ომის მეთოდების განზრახ ცვლილებას ვხედავთ. ამ ყოველივეს მიუხედავად, სამეცნიერო თუ პოლიტიკური წრეები მაინც დაობენ აღნიშნული პრობლემის მასშტაბისა და მისი რეალურ საფრთხედ აღქმის თემაზე. ერთნი ფიქრობენ, რომ ომი - მისი კლასიკური გაგებით იყო, არის და მუდმივად იქნება მსოფლიოსთვის უდიდესი გამოწვევა, თუმცა თანამედროვე გლობალიზაციის მიმდევრები მიიჩნევენ არასამხედრო მეთოდებით ბრძოლას უფრო მასშტაბურად და დამანგრევლად. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია საფრთხის უგულვებელყოფის გამორიცხვა. აუცილებელია ამ მოვლენის შესწავლა, ანალიზი და გამოსავლის მოძიება. მიმაჩნია, რომ ფარული მეთოდებით ბრძოლას კონკრეტული ქვეყნის / პირების ინტერესების გასატარებლად შესწევს უდიდესი ძალა, მიაღწიოს დასახულ მიზანს, მით უმეტეს რომ ქმედებები ხორციელდება ფარულად, ზედმეტი ხმაურის ატეხვის გარეშე. დღევანდელი რეალობა, თანამედროვე გლობალიზაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა მეთოდებით მოხდეს არა მხოლოდ ტერიტორიის, არამედ ადამიანების გონების ,,მშვიდობიანი დაპყრობა".

ჰიბრიდული ომის თემის განსახილველად და ზუსტი ანალიზის გასაკეთებლად, აუცილებელია მოხდეს სხვადასხვა მკვლევარის თუ მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული მასალის გაცნობა და ამ ინფორმაციის გაერთიანება.

ჰიბრიდული ომი, თავისი ბუნებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა თანამედროვე რეალობაში უსაფრთხოების გარემოს ფორმირების პროცესში. აღნიშნული საკითხი არის მუდმივად ცვალებადი და განახლებადი, ამიტომ მრავალი მკვლევარი იკვლევს აღნიშნულ საკთხის. ჰიბრიდული ომის, როგორც მოვლენის სიღრმისეული შესწავლის გარეშე

გამორიცხულია პროგნოზების გაკეთება და მოსალოდნელი საფრთხეები წინააღმდეგ რაიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმა.

აქედან გამომდინარე, თემის დამუშავების დროს **გამოყენებული მეთოდოლოგიაა** ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორიას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოთა შორის გაერთიანებების შექმნას სხვა მხრიდან მომავალი აგრესიის პრევენციის ან თავიდან არიდების მიზნით; ჰიბრიდული ომის თეორია, რომელსაც როგორც მიიჩნევა საერთაშრისო საზოგადოებაში, დასაბამი ჩაუყარა რუსეთ-უკრაინის კრიზისმა და რომლის საპასუხოდაც, ნატომ და ევროკავშირმა შეიმუშავეს ამ მოვლენასთან ბრძოლის სტრატეგია, ახალი ომის თეორია, რაც გულისხმობს ომის სახეცვლილი ბუნების გამოვლენას და თანამედროვე და კლასიკური მეთოდების გაერთიანებას; ალიანსური თავდაცვის ოთხი თეორია, კოლექტიური უსაფრთხოების იდეა უფრო ამბიციურია, ვიდრე ალიანსური უსაფრთხოება ან კოლეტიური თავდაცვის სისტემები, რამდენადაც ის თავის თავში აერთიანებს პრობლემების გადაჭრასა და საფრხეების პრევენციას გლობალური და არა მხოლოდ რეგიონალური მასშტაბით.

კვლევის მეთოდებია:

არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანაა; ჩვენს თემაში ასევე მოცემულია უახლესი ისტორიიდან ჰიბრიდული ომის რამდენიმე კონკრეტული მაგალითი, ამ შემთხვევების გარჩევა ანუ Case study- დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში; ჰიბრიდული ომის, როგორ სამეცნიერო მიმდინარეობის და ტერმინის უკეთ აღსაქმელად ვიყენებთ ისტორიულ-აღწერილობით მეთოდსდასკვნებისა და რეკომენდაციების გასაკეთებლად კი მნიშვნელოვანია აღნიშნული ინფორმაცის და მონაცემთა ანალიზი.

ბოლო პერიოდში ჰიბრიდული თემის ირგვლივ არაერთი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა, რომელთაგან რამდენიმეს ვიყენებთ ნაშრომში ჩვენს მიერ დასახული ამოცანის მისაღწევად. განვიხილოთ რამდენიმე:

- **Russian "Hybrid Warfare": Resurgence and Politicization - Ofer Fridman – May 2018** - ავტორი თავის ნაშრომში მიმოიხილავს ჰიბრიდულ ომს, როგორც პოლიტიზირებულ მოვლენას და არა მხოლოდ სამხედრო მიზნების მისაღწევად წარმოებულ მოქმედებებს. წიგნი დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად. პირველი ნაწილი მოგვითხრობს ჰიბრიდული ომის წარმოშობის შესახებ, მეორე ნაწილში კი კონკრეტულად რუსული ჰიბრიდული ომის მეთოდების შესახებაა საუბარი; მესამე ნაწილი კი სათაურით: ,,რუსები მოდიან" ამ ომის პოლიტიკურ ნაწილზე გვესაუბრება.

- **Hybrid Conflicts and Information Warfare: New Labels, Old Politics - Ofer Fridman, Vitaly Kabernik, James C. Pearce – Oct 2018** - რა არის ჰიბრიდული ომი? რა როლს თამაშობს ინფორმაცია დღევანდელ კონფლიქტებში? ტექნოლოგიური/ინფორმაციული განვითარების პირობებში, რაც მოიტანა ბოლო ორმა ათწლეულმა, განსაკუთრებით დააყენა დღის წესრიგში არასამხედრო პოლიტიკური საფრთხეები - ჰიბრიდული კონფლიქტი და საინფორმაციო ომი. არსებული სიტუაციისა და ამ მიმართულებებით სხვადასხვა თეორიაზე დაყრდნობით ავტორები გვთავაზობენ პრობლემის მშვიდობიან მოგვარების გზებს. სწორედ, ეს ყოველივე ზემოთ ხსენებული არის განხილული აღნიშნულ ნაშრომში.
- **Crisis in the Caucasus : Russia, Georgia and the West / Paul B. Rich.** 2010 -ავტორი მიმოიხილავს კრიზისს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ წარმოიშვა. განხილულია კრიზისის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ასპექტები, ასევე გრძელვადიანი საომარი და დიპლომატიური შედეგები ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის. 2008 წლის ომის დაწყებამდე და მას შემდგომაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოებს საკუთარი ინტერესების გატარებას ჰიბრიდული მეთოდებით, ჰიბრიდული ომი დღემდე გრძელდება.
- **Russia, the West, and the Ukraine Crisis –Elias Götz – 2018** - ავტორი განიხილავს უკრაინის კრიზისის მიზეზებსა და შედეგებს, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებს. განხილული საკითხებში მოიცავს : ურთიერთობები რუსეთსა და ევროკავშირს და რუსეთსა და აშშ-ს შორის სხვადასხვა ეტაპზე, რუსეთის საგარეო და სამხედრო პოლიტიკის ცვლილებაში ჰიბრიდული ომის გავლენას, ასევე მიმოიხილავს რუსეთის შეჭრას აღმოსავლეთ უკრაინაში. ავტორი ეყრდნობა სხვადასხვა თეორიულ მიდგომას და გვთავაზობს მოცემულობის ანალიზს.
- საკმაოდ საინტერესო ნაშრომია, **ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები - თბილისი 2016** , სადაც დიდი ყურადღება ეთმობა რუსი გენერლის გერასიმოვის მიერ სტატიის სახით გამოაქვეყნა ნაკლებად ცნობილ რუსულ თავდაცვის ჟურნალში სამეზობლოში რუსეთის ქცევის მოდელის კონცეფცია, რომელსაც ჩვენ „გერასიმოვის დოქტრინად“ მოვიხსენიებთ, ავტორი აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ სამხედრო საშუალებების მნიშვნელობა კლებულობს ომის პოლიტიკური ამოცანების მიღწევის საკითხში. ჰიბრიდული კონფლიქტისთვის კი ეს მკაფიო მახასიათებელია, როდესაც სტრატეგიული ამოცანების მიღწევაში არასამხედრო საშუალებები უმთავრესი

კომპონენტია და მათი კომპლექსური ამუშავება სახელწიფოს საფუძვლების შერყევისკენ არის მიმართული, მისაღწევი მიზანი კი არის, რომ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად სამხედრო საშუალებების გამოყენება აირიდონ თავიდან. ჯეიმს შერი აღნიშნავს : -,,თანამედროვეობის კონფლიქტის ჰიბრიდული საშუალებების „მიზანია, დაასუსტოს სახელმწიფო მანამ, სანამ სახელმწიფო მიხვდება, რომ კონფლიქტი დაწყებულია".რუსეთის მიერ მის სამეზობლოს ტერიტორიებზე წამოწყებულ ჰიბრიდულ ომს რამდენიმე მახასიათებელი გამოარჩევს და არა რეგულარული ან არარეგულარული საშუალებების კომბინაცია, რისი მაგალითებიც ბევრი გვსმენია ისტორიიდან. ერთი, რუსეთის ჰიბრიდული ომს ახასიათებს ომსა და მშვიდობას შორის ზღვარის მიზანმიმართული წაშლა. ამ ორ მოცემულობას შორის გაბუნდოვანება შესაძლებელს ხდის რუსეთის ხელმძღვანელობისთვის „შეარყიოს და გაანადგუროს სახელმწიფოები პირდაპირი, ღია და ფართომასშტაბიანი სამხედრო ინეტრვენციის გარეშე".

ჰიბრიდულ ომზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ცოტა მეტი უნდა ვისაუბროთ რუსეთის ჰიბრიდული ომის თამაშის წესებზე. მის ინსტრუმენტებს ხუთ ძირითად ნაწილად ვყოფთ, რომელსაც ეროვნული სიძლიერის ელემენტებად მოვიხსენიებთ:

- პოლიტიკური ინსტრუმენტები;
- ეკონომიკური ინსტრუმენტები;
- სამხედრო ინსტრუმენტები;
- საინფორმაციო ინსტრუმენტები;
- სოციალური ინსტრუმენტები.

ეს ელემენტები ჩამოთვლილია და განხილულია შემდეგ მასალაზე დაყრდნობით : 20 How the NATO's Article 5 works, The Economist, March 9, 2015 21 Coalson, R., Top Russian General Lays Bare Putin's Plan for Ukraine, The World Post, September 2 2014, Russia's New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy, ლატვიის თავდაცვის ეროვნული აკადემია, უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, 2014 წლის აპრილი.

როგორც თემის დასაწყისში აღვნიშნეთ, თანამედროვე გლობალურ უსაფრთხოების გარემოზე ჰიბრიდული ომი ახდენს მნიშვნელოვან გავლენას , რაც ასევე გულისხმობს დიდ საფრთხეებსა და გამოწვევებს. ნატო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ამუშავებენ კონცეფციებსა და სტრატეგიებს ამ საფრთხესთან საბრძოლველად.

ნატოს სტრატეგიული კონცეფციები ჰიბრიდულ ომთან საბრძლოლველად ეფექტიანია, თუმცა ის საჭიროებს მუდმივ განახლებას, რადგან თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოში ჰიბრიდული ომიდან მომდინარე საფრთხეები არის ცვალებადი. ნაშრომში, ასევე განვიხილავთ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომებს ჰიბრიდულ ომთან საბრძოლველად, აქცენტს კი ვაკეთებთ ჩრდილოატლანტიკურ გაერთიანებაზე, როგორც კოლექტიური ანუ თანამშრომლობითი უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე წარამატებულ გაერთიანებაზე.

თავი პირველი. ჰიბრიდული ომის ისტორიული პერიპეტიები და თანამედროვე გამოწვევები

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ჰიბრიდული ომის, როგორც მოვლენის შესწავლა და მასთან ბრძოლის უკვე ასებული მეთოდების შეფასება და ასევე გარკვეული რეკომენდაციების გაწევა, თუ რა შეიძლება დამატებით გაკეთდეს. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ანალიზი უნდა დავიწყოთ ჰიბრიდული ომის კონკრეტული მაგალითების მიმოხილვით, რაც მოგვცემს საშუალებას კარგად გავაანალიზოთ ამ მოვლენის ბუნება. გარდა ზემოთხსენებულისა, ამ თავში განხილული იქნება რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის მოდელი და დასალური სამყაროს მიდგომა და ბრძოლის მეთოდები მის წინააღმდეგ.

1.1 „ჰიბრიდული ომი“ - ტერმინის წარმომავლობა და გამოყენების არეალი

დღეისათვის, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც ვდგავართ, არის ომის სხვადასხვა ფორმას შორის განსხვავების ელიმინაცია და ის რისკები, რასაც ეს პროცესები ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის საიმედოობას უქმნის.[1]

თანამედროვე საზოგადოება აქტიურად იყენებს ტერმინს ჰიბრიდული ომი, რითიც კონფლიქტის ბუნების ცვლილებას გამოხატავენ. მიგვაჩნია, ახალი და ტენდენციური სიტყვის მისტიკურობის მოხსნა მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოწვევის

[1] Hoffman, F.G. Hybrid Warfare and Challenges, JFQ / issue 52, 1st quarter 2009, P 34

დაძლევის გზების განსაზღვრა გამარტივდეს. უსაფრთხოების მრავალი ანალიტიკოსი აღიარებს, რომ „კონფლიქტის ხასიათის ცვლილება, რისი მომსწრენიც ვართ, ყველაზე უკეთ შეიძლება სიტყვით „კონვერგენცია“[2] აღიწეროს - ფიზიკური და ფსიქოლოგიური, კინეტიკური და არაკინეტიკური და საომარი და არასაომარი კონცეფციების კონვერგენცია“[3] . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია ის, რომ ომის ხასიათის ცვლილება კონცეფციიდან რეალობად გადაიქცა, რაც დასტურდება იმ გარემოებითა და ფაქტებით, თუ როგორ იზრდება ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ისეთი კონფლიქტების რაოდენობა, რომლებიც არ შეესაბამება ომის ,,კლასიკურ“ გაგებას. [4] ჰიბრიდული ომის შესახებ წარმოდგენა მოგვიტანა ბოლო წლების კონფლიქტების ანალიზმა, რომლებშიც სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად ომის ფორმების განზრახ აღრევას ვხედავთ.

ფრენკ ჰოფმანის თანამედროვე კონფლიქტების სხვადასხვა ფორმის ანალიზში ჰიბრიდული საფრთხეები შემდეგნაირად განსაზღვრავს: ჰიბრიდულია საფრთხეები, როდესაც ნებისმიერი მოწინააღმდეგე ერთდროულად იყენებს კონვენციური იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმის და კრიმინალური ქცევის შესაბამის კომბინაციას. ფრენკ ჰოფმანი იმასაც აღიარებს, რომ „ჰიბრიდული საფრთხის განსაზღვრების პრობლემა ის არის, რომ ის ფოკუსირებულია სხვადასხვა ტაქტიკის კომბინაციაზე, რომლებიც ძალადობასა და ომთან (კრიმინალური ქმედებების გამოკლებით) არის ასოცირებული, მაგრამ საერთოდ არ მოიცავს სხვა, არაძალადობრივ ქმედებებს“. [5]

რუსეთის მიერ წარმოებული კამპანიის წყალობით აღმოჩნდა უკრაინა ჰიბრიდული აგრესიის მსხვერპლის როლში, რაც დასავლეთისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. სწორედ, ყოველივე ეს, იყო საფუძველი მოჰყოლოდა აჟიოტაჟი მეცნიერულ, პოლიტიკურ თუ სხვა წრეებში, თითქოს დაიბადა ახალი და აქამდე უცნობი საფრთხე, რომელსაც მალევე დაერქვა „ჰიბრიდული ომი“. ზოგი

---

[2] Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014, P 1 https://warontherocks.com/2014/07/on-not-so-new-warfare-political-warfare-vs-hybrid-threats/ 18.06.2019

[3] Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014, P 1 https://warontherocks.com/2014/07/on-not-so-new-warfare-political-warfare-vs-hybrid-threats/ 18.06.2019

[4] Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014, P 2 https://warontherocks.com/2014/07/on-not-so-new-warfare-political-warfare-vs-hybrid-threats/ 18.06.2019

[5] Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014, P 2 https://warontherocks.com/2014/07/on-not-so-new-warfare-political-warfare-vs-hybrid-threats/ 18.06.2019

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ ტერმინში ხაზ გასასმელია მხოლოდ მის სამხედრო-მილიტარისტულ შემადგენელი ნაწილი „ომი“. შესაბამისად, ისინი ცდილობენ გამოსავლის მოძებნას სამხედრო გადაწყვეტილებაში და ამ გზით მის „დაამარცხებას“ , მაგრამ პანაცეას არ წარმოადგენს ამდაგვარი მიდგომა . მხოლოდ ახალი სახელის გამოგონება, რაც რეალურად არც თუ ისე ახალია , გამოსავალს ვერ გვაპოვნინებს. სამეცნიერო და არა მხოლოდ ეს სფეროები იყენებენ შემდეგ კონვენციებს : არაკონვენციური, ასიმეტრიული, არარეგულარული და ა.შ, რომლებიც, ფაქტობრივად, იგივე ქმედებებს გულისხმობს. მთავარი, რაც „ჰიბრიდულ ომს“ გამოარჩევს, არის ის, სასურველი შედეგის მისაღებად სრულებითაც არ არის აუცილებელი საქმე მივიდეს შეიარაღებულ (ყირიმის მაგალითი). „ჰიბრიდული ომის“ პირობებში ხდება ძალისხმევის ფართო მასშტაბით მიმართვა შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: ინფორმაციის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციალური ფონის, ენერგო-უასფრთხოების, მასმედიის, კულტურის, კრიმინალური სამყაროსიც კი, ამას დამატებულია ჩვენი საუკუნის უახლესი ,,ქმნილება“ - კიბერ-ომი. აღნიშნული მოვლენა, ასევე შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგნაირად - ღია და ფარული მოქმედებების შერწყმა, იძულებისა და დარწმუნების სხვა ძალისმიერი მეთოდის გამოყენებით, პასუხისმგებლობისა და ბრალის თავიდან არიდებით, რაც საკმაოდ ართულებს საპასუხო რეაგირების მომზადებას.

უკრაინის კრიზისის განვითარების ელვისებურმა სიჩქარემ მოიცვა და სრულ შოკში ჩააგდო როგორც ამ ქვეყნის ახლად არჩეული მთავრობა და მასთან ერთად დასავლური სამყარო. რუსეთმა სასურველი შედეგის მისაღებად იარაღად გამოიყენა სპეც-დანაყოფები და პრო-რუსი სეპარატისტები, რუსული დიპლომატია და მედია-საშუალებები, რომლებიც აქამდე არნახული ოსტატობით მოქმედებდნენ. ამ ყოველივემ კი აალაპარაკა მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი კვლევითი ცენტრი ჰიბრიდულ ომზე და შეუდგნენ ამ ტერმინის გაშიფვრას.

ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსი, ფრენკ ჰოფმანი თანამედროვე კონფლიქტების სხვადასხვა ფორმის ანალიზში ჰიბრიდული საფრთხეებს განსაზღვრავს შემდეგნაირად: „ჰიბრიდული საფრთხეებია, როდესაც ნებისმიერი მოწინააღმდეგე ერთდროულად იყენებს კონვენციური იარაღი, არარეგულარული

ტაქტიკას, ტერორიზმსა და კრიმინალური ქცევას კომბინირებულად და ამით საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევას".[6]

-„საომარი მოქმედების ფორმა, რომელშიც სხვადასხვა შემადგენლობის, საშუალებების, მომზადების დონისა და ხასიათის ძალებია ჩართული. თუმცა ის, რაც ჰიბრიდულ გამოწვევებს აშკარად ახალ ფენომენად აქცევს, არასამხედრო საშუალებების მნიშვნელობის ზრდაა. ეს ომის თანამედროვე ფორმაა, რომელიც უმთავრესად ფოკუსირებულია სტრატეგიული ამოცანების მიღწევაზე ფიზიკური დაპირისპირების გარეშე, განსაკუთრებით, კონფლიქტის საწყის ეტაპზე" - ასე გამოიყურება XX საუკუნის მიწურულს ამერიკელმა სამხედრო ექსპერტის მიერ სამხედრო დაგეგმარების პრაქტიკაში შემოღებული "ჰიბრიდული საფრთხეების" (Hybrid Threats) და შესაბამისად, მასთან დაკავშირებული "ჰიბრიდული ომების" ცნება.[7]

დღესდღეობით ომის უმთავრეს კომპონენტად მიიჩნევა - ინფორმაციული ომი, რაც მასაზე ზეგავლენის მოხდენას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შეღწევის გზით ამა თუ იმ იდეის მხარდაჭერის მოპოვებასა და დამკვეთის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარებას გულისხმობს. გარდა ფსიქოლოგიური, ინფორმაციულ-პროპაგანდისტული და კიბერ საშუალებებისა, ინფორმაციულ ომი თავის შინაარსში მოიაზრებს ასევე, ფარული ხასიათის სამხედრო თუ ა.შ საშუალებების , ფინანსური არხებისა და რესურსებისა კომპლექსური გამოყენებას.

საყურადღებოა, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსის მიერ გაკეთებული განმარტებაც ომის ამ სახეობასთან დაკავშირებით, რომელიც თანამედროვე სტრატეგიის ყველა შემავალ ელემენტს აერთიანებს. ნატო-ში „ჰიბრიდულ ომად" მოიხსენიებენ ისეთ ტაქტიკას, რომლის დროს კლასიკური, ბოლო ათწლეულის წინ ყველასთვის კარგად ნაცნობი სამხედრო მოქმედბები და საშუალებები არ გამოიყენება. ეს არის ომი, რომელიც შეიცავს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ელემენტებს, ასევე, სპეცდანიშნულების ძალების ფარულ გამოყენებასა და ეკონომიკური ზეწოლას. ომის ამ სახეობას ისინი „რბილ ძალადაც" მოიხსენიებენ.[8]

---

[6] Hoffman, F.G Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars - Research Fellow, Center for Emerging Threats and Opportunities (CETO) P 7

[7] Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014 https://warontherocks.com/2014/07/on-not-so-new-warfare-political-warfare-vs-hybrid-threats/, 18.06.2019

[8] NATO's response to hybrid threats - https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_156338.htm 18.06.2019

გლობალიზაციამ სხვადსხვა სფეროში და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ხარისხმა მოიტანა, ის რომ დედამიწის ნებისმიერ წერტილში მცხოვრებ თითოეულ ადამიანზე, მის ყოველდღიურობასა და შეხედულებებზე ზეგავლენის მოსახდენად არ არის დიდი ძალისხმევა საჭირო. ჰიბრიდული ომის ფარგლებში ყველაზე გავრცელებულ მეთოდს ამ მხრივ , ინფორმაციული ბრძოლა წარმოდგენს. საუკეთესო იარაღი კი არის - ის საშუალებები, რომელთა ირგვლივ დიანტერესება მოდის თვითონ მოსახლეობის მხრიდან, ესენია : მედია, ინტერნეტ სივრცე, კინო თუ მუსიკალური ინდუსტრია ანუ ყველა ის სფერო, რაც ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილს წარმოადგენს. მედიის გავლენა (მანიპულაცია) ყველაზე დიდ და საშიშ როლს თამაშობს ამ სახის ომის სასარგებლოდ. ის თავის მხრივ წარმოადგენს საზოგადოების მასებზე გავლენის მოხდენის სხვადასხვა ტექნიკის ერთობლიობას, სადაც კონკრეტული ჯგუფების/ჯგუფის/პიროვნების ინტერესების გამტარებლები ქმნიან და გვიხატავენ სურათს/სიტუაციას საკუთარი კონკრეტული ინტერესების შესაბამისად. მედია კვლევები, მედიის ფსიქოლოგია, კომუნიკაციის თეორია და სოციოლოგია, მედიის გავლენა და შედეგები არის საზოგადოების ქცევის და შეხედულების ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებები. მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც პოტენციურ მომხრეებთან და მომხრეებთან კომუნიკაციის ძირითად საშუალებას. მასმედიის ყველაზე გავრცელებული პლატფორმა არის გაზეთები, ჟურნალები, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომუნიკაციის წყაროა - წერილობითი ან სამაუწყებლო საშუალებები, რომელიც ფართო აუდიტორიას აღწევს. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან რესურსების შეუზღუდავი გახარჯვა ხდებოდა მასების ფსიქოლოგიის შესწავლისა და მანიპულირებისთვის ტელევიზიითა და მასმედიის სხვა საშუალებებით. ამ ყველაფრის კარგი მაგალითია, CNN-ზე გასული ერთ-ერთი სიუჟეტი, სადაც გაშუქებული იყო ,,კადრები სირიის ცხელი წერტილიდან“, თუმცა წლების შემდეგ გასაჯაროვებული ფაქტებით ჩანს რომ ნაჩვენები სიუჟეტი არის მონტაჟი და რეალურად სცენები იყო დადგმული. თუმცა გაშუქების დროს, ამ ყველაფერს დიდი გამოხმაურება და მოსახლეობის მხრიდან თანადგომის გამოხატულება მოყვა სიუჟეტში მონაწილე პირების მიმართ. ასევე ხშირია ბეჭვდურ მედიაში გავრცელებული დამონტაჟებული ფოტოები, სადაც რეალური კადრები დამახინჯებული და გადრამატულებულია. ფაქტების პირველ წყაროსთან გადამოწმება ან დაზუსტება ნამდვილობის მოსახლეობის 99%-სთვის

ხელმიუწვდომელია და ისინი ამის საჭიროებას ვერც ხედავენ, საბოლოო ჯამში კი იღებენ მცდარ ინფორმაციას ან იმას რაც უნდა სტატიის/სიუჟეტის შემკვეთს. მედიის მანიპულირების კიდევ ერთი კარგად ცნობილი მეთოდია კინო და მუსიკალური ინდუსტრია. არაერთი ფილმი, სიმღერა თუ კომპოზიციაა შემქნილი კონკრეტული ეთნიკური, რელიგიური და ა.შ ჯგუფების მიმართ საზოგადოების დანარჩენი ნაწილის მხრიდან აგრესიის გაჩენის მიზნითაც კი, რასაც შესაძლო რიგ შემთხვევებში კონკრეტული ,,ხრიკის" გავლენის ქვეშ მყოფი ადამინების დაპირისპირებაც კი მოჰყვეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჰიბრიდული ომი", როგორც ტერმინი ახლახანს გაჩნდა, მაგრამ თავად კონცეფცია ნამდვილად არ არის ახალი[9] და ძველი რომის პერიოდიდან (ომები გერმანიაში) მოყოლებული დღევანდელ დღემდე ხშირად გამოიყენებოდა[10].

1.2 ჰიბრიდული ომის წარმოების მეთოდები XXI საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკაში

ისტორიულად, კონფლიქტში მონაწილე სუსტი მხარე ცდილობდა მოწინააღმდეგის გრძელვადიან კონფქლიქტში ჩათრევას მისი უპირატესობის დაძლევის მიზნით, რომ ძლიერი მხარისთვის ეს კონფლიქტი ყოფილიყო არასაინტერესო და მოსაბზრებელი, სუსტი აქტორი იყენებს ისეთი სახის საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ახორციელებს პილიტიკური ქმედებებს იმ გავლენის ზონებში, სადაც ცდილობს დაიყვანოს მინიმუმამდე ძლიერის პოზიციები. [11] სუსტი აქტორი პოულობს ისეთ საშუალებას, რომ გაახანგრძლივოს კონფლიქტი იმ პერიოდით, რომ ძლიერის ამ კონფლიქტის არსებობა არ უღირდეს. აქცენტი კი

[9] Mansoor, P. R. (2012). Hybrid warfare in history, In Williamson Murray and Peter R. Mansoor (eds.), Hybrid warfare: fighting complex opponents from the ancient world to the present . Cambridge, USA: Cambridge university Press, P 8-9

[10] Lacey, J. (2012). A province too far, In Williamson Murray and Peter R. Mansoor (eds.), Hybrid warfare: fighting complex opponents from the ancient world to the present . Cambridge, USA: Cambridge University Press. (Chapter 1) P 15-18

[11] გ. მარღრაძე; ვ. მაისაია - 21-ე საუკუნის საეთშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია : მითი და რეალობა - რეგიონალური და გლობალური ასპექტები გვ 85-105

გადატანილია ძლიერი აქტორის საზოგადოებრივი აზრის სათანადო მიმართულებით ფორმირებაზე.[12]

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში, ნაცვლად იმისა, რომ არაკონვენციური მეთოდებით სუსტ მხარეს ესარგებლა, მოხდა პირიქით.[13] რუსეთის მხრიდან არასტანდარტუილ თამაშის წესების კიდევ უფრო არასტანდარტულად წარმართვა, არარეგულარული ომის წარმოების ჩვეულ მოდელშიც კი მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს. ამ ყველაფრის მიუხედავად, უსაფრთხოების სფეროს მრავალი ანალიტიკოსი ეჭვის თვალით უყურებს „ჰიბრიდული ომის" ტერმინს და მას არაზუსტ ტერმინად მიიჩნევს ან უფრო მეტიც, მხოლოდ იარლიყად, რომელიც მიაკერეს უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს, რომლებიც მხოლოდ ომის ადრე განსაზღვრული ტიპების - კონვენციურის, არარეგულარულის, პოლიტიკურისა თუ ინფორმაციულის - კომბინაციას გამოხატავს. [14]

„ჰიბრიდული ომის" იდეის ორიგინალურობის ირგვლივ კამათზე მეტად მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება, რუსეთის მიერ დამკვირდებულ ორ საინტერესო ტენდენციაზე.

პირველი, ის რომ ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ინსტიტუტებისთვის არც თუ მარტივია, დაუპირისპირდნენ ჰიბრიდული საფრთხეების მიერ გაჩენილ გამოწვევებს. ამ ინსტიტუციების მიერ საპასუხო გადაწყვეტილების მიღების სისტემა ძალიან ეფექტიანია, როცა საქმე ეხება ადვილად ამოსაცნობ საფრთხეებს. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს არასამხედრო ხასიათის გამოწვევებთან და შესაბამისად, რთულად ამოსაცნობ მოვლენასთან, ბევრად უფრო რთულია პასუხის შემუშავება და ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა. ბოლო ხანებში პრესა აქტიურად წერს, რომ თუ , „მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო ალიანსის მთელი სიძლიერე მნიშვნელობას დაკარგავს, თუ მისი წევრები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, როდესაც აგრესორი დაწესებულ ზღვარს გადალახავს".[15] მოსკოვის სტრატეგია კი ზუსტად ამ სისუსტეების საკუთარ სიძლიერედ გამოყენებას გულისხმობს.

---

[12]გ. მარღრაძე; ვ. მაისაია - 21-ე საუკუნის საეთშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია : მითი და რეალობა - რეგიონალური და გლობალური ასპექტები გვ 85-105

[13] ნორვეგიის თავდაცვის მინისტრი, ინე ერიკსენ სორაიდე, მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე 2015. "More European, More Connected and More Capable Building the European Armed Forces of the Future", P 9,

[14] Kofman, M. and Rojanski, M. A Closer Look at Russia's Hybrid warfare, Kennan Cable, No. 7 1 April 2015, P 4, https://www.files.ethz.ch/isn/190090/5-kennan%20cable-rojansky%20kofman.pdf 18.06.2019

[15] How the NATO's Article 5 works, The Economist, March 9, 2015, P2 https://www.economist.com/the-economist-explains/2015/03/09/how-natos-article-5-works 18.06.2019

მეორე, რუსებისთვის არასამხედრო საშუალებებით ბრძოლის მეთოდები უპირატეს მეთოდადაც იქცა თავიანთი სტრატეგიული ამოცანის განსახორციელებლად, რაც თავის მხრივ სახელმწიფოს საფუძვლის შერყევას გულისხმობს, რის შემდგომაც სამხედრო საშუალებების გამოყენება ან აღარ არის საჭირო ან ნაკლებ რელევანტურია.

2013 წლის 27 თებერვალს არც თუ პოპულარულ რუსულ თავდაცვის ჟურნალში გამოქვეყნდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვალერი გერასიმოვის სტატია სამეზობლოში რუსეთის ქცევის მოდელის კონცეფციის თაობაზე, რომელსაც ჩვენ „გერასიმოვის დოქტრინად“ მოვიხსენიებთ. ავტორის მიერ აქცენტი გაკეთებულია იმ ფაქტზე, რომ სამხედრო საშუალებების მნიშვნელობა უფრო და უფრო იკლებს ომის პოლიტიკური ამოცანების მიღწევის საკითხში.[16] ჰიბრიდული კონფლიქტისთვის კი, არასამხედრო საშუალებებით სტრატეგიული ამოცანის განხორციელება უპირველესი მახასიათებელია.[17] ჯეიმს შერი აღნიშნავს : -,,თანამედროვეობის კონფლიქტის ჰიბრიდული საშუალებების „მიზანია, დაასუსტოს სახელმწიფო მანამ, სანამ სახელმწიფო მიხვდება, რომ კონფლიქტი დაწყებულია“. [18]

ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებების უახლესი მაგალითების განხილვა დავიწყოთ ჩეჩნეთის პირველი ომით. ჩეჩნეთი რომ დამოუკიდებელი ქვეყანა არ იყო, ეს ყველასთვის ცნობილი ფაქტია. არასახელმწიფოებრივი გასამხედროებული დაჯგუფება, ჰეზბოლა და მისი ზოგიერთი ტაქტიკა, ტერორისტული მოქმედებები და მოსახლეობაში შერევა, მიუღებელია სუვერენული სახელმწიფოებისთვის. თუმცა, ამის მიუხედავად, აღნიშნული კონფლიქტი მნიშვნელოვანი გაკვეთილია ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, რომლებსაც საკუთარი ან მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით უწევთ მათზე ძლიერ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირება. ჩეჩნეთის პირველმა ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჰიბრიდული ტაქტიკის ეფექტურობა. სწორედ პარტიზანულ-კონვენციური სამხედრო მოქმედებების გაერთიანებით შეძლეს ჩეჩნებმა სასურველი შედეგამდე მისვლა აღნიშნულ ომში. მხოლოდ პირდაპირი, ანუ ომის კლასიკური გაგებით და ამ მეთოდით ბრძოლა სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა, რადგან რუსების რესურსები დიდად აღემატებოდა ჩეჩნებისას.

---

[16] Coalson, R., Top Russian General Lays Bare Putin's Plan for Ukraine, The World Post, September 2 2014, P 2https://www.huffpost.com/entry/valery-gerasimov-putin-ukraine_b_5748480 18.06.2019

[17] Dempsey, J. Will Hybrid War Defeat Europe?April 29, 2015

[18] Anonymous 2015

ორ წლიანი ომის ფინალი 1996 წლის 31 აგვისტოს ხასავიურთის ხელშეკრულება იყო. ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს უნდა გაეყვანა ჯარები ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან და ხუთი წლის შემდეგ (ანუ 2001 წელს) ჩატარდებოდა რეფერენდუმი მისი სტატუსის შესახებ; შესაბამისად, ჩეჩნებმა მიიღეს უფლება, თავად მიეღოთ გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციაში დარჩენის შესახებ.[19] თუმცა ამ წარმატებით ქვეყანამ ვერ ისარგებლა, რადგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უკვე ჯიჰადად ტრანსფორმირდებოდა და და მთელი ჩრდილოეთ კავკასიისთვის საფრთხეს წამოადგენდა, რაც, თავის მხრივ, მეორე ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზად იქცა.[20] მხოლოდ პარტიზანული მოქმედებების განხორცილება არ იქნებოდა ეფექტური, რადგან მოწინააღმდეგე დაიკავებდა ყველა ქალაქს და ნაწილ-ნაწილ გაანადგურებდა ამბოხებულებს, როგორც ეს ჩეჩნეთის მეორე ომში მოხდა. როდესაც კონფლიქტი გაჩაღდა, ჩეჩნეთის არმია ჯერ კიდევ არ იყო წარმოდგენილი, როგორც პროფესიონალური შეიარაღებული ძალა და ჰყავდა მხოლოდ რამდენიმე კარგად გაწვრთნილი ქვედანაყოფი.[21] ომის პირველივე დღეებში რუსეთის მხრიდან დაბომბვამ 130-ზე მეტი თვითმფრინავი განადგურდა და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ოთხივე აეროდრომი[22], რამაც ჩეჩნეთს შეუზღუდა საჰაერო ოპერაციების განხორცილება. საჰაერო დარტყმებმა ასევე შეიწირა ჯავშანტექნიკისა და ტანკების მნიშვნელოვანი ნაწილი[23]. მძიმე ტექნიკის გადაადგილებას კი ხელს უშლიდა რუსული ავიაცია და აიძულებდა ჩეჩნებს, რომ დარჩენილი რესურსები გაენაწილებინათ შეზღუდული მასშტაბზე და მხოლოდ ქვეტაქტიკურ დონეზე მომხდარიყო მათი გამოყენება. ამბოხებულების მიერ დაბლობში ჩატარებულ სამხედრო ოპერაციების არაეფექტურობას, შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობაც განაპირობებდა ,რადგან ამ ოპერაციების ჩატარება უმეტესწილად უწევდათ ქვეით ქვედანაყოფებს. აქედან გამომდინარე უნდა ვთქვათ, რომ იმ ტერიტორიებზე, სადაც უმეტესწილად სწორი რელიეფია და არც დიდი ბუნებრივი საფარით გამოირჩევა, ძალის ტრადიციული ორგანიზება შეიძლება უფრო კარგი არჩევანი იყოს. მეორე მხრივ, ისიც ნათელია რომ სატანკო დანაყოფების

[19] S. Knezys, R. Sedlickas, 1999 – The war in Chechnya, P40

[20] R. W. Schaefer, 2011 - The Insurgency in Chechnya and the North Caucasus: From Gazavat to Jihad (Praeger Security International) P 57

[21] C. Gall, T. De Waal, 1997 - Gall, C. & De Waal, T. (1997). *Chechnya, a small victorious war.* London: Mackays of Chatham; P 20

[22] G. Troshev, 2001 - Moia voina, *z* apiski okopnogo generala . Moscow, Russia: Vagrius P 35

[23] G. Troshev, 2001 - Moia voina, *z* apiski okopnogo generala . Moscow, Russia: Vagrius P 40

წინააღმდეგ დასახლებულ პუნქტებსა და მთებში, მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ქვედანაყოფების გამოყენება უფრო ეფექტური იქნება. ის, რომ მომაკვდინებელი ძალის მქონე შეიძლება იყოს კარგად შეიარაღებული ქვეითი ჯარი, დასტურდება გროზნოში 131-ე მოტომსროლელი ბრიგადის განადგურებით. მიზეზი ჩეჩნეთის პირველ ომში ბრძოლის ჰიბრიდული მეთოდების ჭკვიანური გამოყენებამ განაპირობა ამბოხებულების მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების წარმატება.

ახლა ვისაუბროთ 2006 წლის ომზე ლიბანში.ჩეჩნების მსგავსად, 2006 წლის ლიბანის ომის მიმდინარეობისას ჰიბრიდული მეთოდები ეფექტიანად გამოიყენეს ჰეზბოლას მებრძოლებმა რომელის ხანგრძლივობა თვეზე ოდნავ დიდი პერიოდი იყო. ჩეჩნეთის ომისგან განსხვავებით, სადაც მათი წარმატება შესაძლოა რუსეთი არმიის არაკომპეტენტურობით ავხსნათ, ლიბანში ომმა დაგვანახა, რომ ჰიბრიდული მეთოდები შესაძლოა ეფექტიანი იყოს ისრაელისნაირი მაღალი დონის მომზადების თავდაცვის ძალების წინააღმდეგაც კი.[24]

მას შემდეგ რაც ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა შეაღწიეს ლიბანის საზღვრებში, ჰეზბოლას მებრძოლებმა გამოიყენეს არა ცალ-ცალკე პარტიზანული და ბრძოლის ტრადიციული მეთოდები, არამედ გამოიყენეს ჰიბრიდული ტაქტიკა, მათ დაიწყეს თითოეული დასახლებული პუნქტის დასაცავად ბრძოლა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. ლიბანელებმა საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენეს ისრაელის არმიას. ჰეზბოლას დისციპლინა და მოქმედება კონვენციური არმიების მსგავსი იყო. ლიბანის 2006 წლის ომი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ერთ-ერთი კარგი მაგალითია, ჰიბრიდული ტაქტიკითა და ძალების ორგანიზებით რამდენად არის შესაძლებელი გაცილებით ძლიერი ოპონენტისთვის ზიანის მიყენება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰეზბოლას დანაკარგი აღემატებოდა ისრაელის არმიის დანაკარგებს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ქვეითი დანაყოფების დაპირისპირებისას უპირატესობა არის კარგად გაწვრთნილი დანაყოფის მხარეს, ასევე შემადგენლობის რიცხვიც განსაზღვრავს უპირატესობის მოპოვების შანსს.

ომის დასკვნით მონაკვეთზე ისრაელის არმიის მიერ განხორციელებული თავდასხმის წარმატება იმის მაჩვენებელია, რომ პირდაპირი შეტაკებების დროს ძლიერი ოპონენტის ხელშია უპირატესობა. ისრაელისთვის მთავარ უპირატესობას და ხელისშემწყობ ფაქტორს განაპირობებდა ის გარემოება, რომ ლიბანს არ ჰყავდა

[24] Mozgovaya, N. & Haaretz Correspondent. 2008, Sep, 4. U.S. report: Hezbollah fought Israel better than any Arab army . Haaretz, retrieved from http://www.haaretz.com/print-edition/news/u-s-report-hezbollah-fought-israel-better-than-any-arab-army-1.259847, P 2 , 18.06.2019

საშუალო და შორი წვდომის საჰაერო თავდაცვის მექანიზმები და საშუალებები. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჰეზბოლას ტანკსაწინააღმდეგო ქვედანაყოფებთან და ქვეითებთან გამკლავება ისრაელის თავდაცვის ძალებისთვის არც თუ მარტივი საქმე აღმოჩნდა, რისი კარგი მაგალითიც არის ტანკსაწინააღმდეგო ცეცხლით დაზიანებული თერთმეტი მერკავას ტიპის ტანკი. ამიტომ, თამადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მაშინაც კი, როდესაც კონფლიქტის ერთი კონკრეტული მხარე მთლიანად აკონტროლებს საჰაერო სივრცეს, კარგად ორგანიზებულ ქვეითთა დანაყოფებს აქვთ უნარი, მნიშვნელოვანი დანაკარგი მიაყენონ ოპონენტს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ლოგისტიკური მარაგების წინასწარი განლაგება და მომარაგების პუნქტების შექმნა სამხრეთ ლიბანში ეფექტური ნაბიჯი იყო, რამაც ასევე შეამცირა ჰეზბოლას მოწყვლადობა. ამ ყოველივეს გარეშე ლიბანის ლოჯისტიკური ჯაჭვი ისრაელის საჰაერო შეტევების გათვალისწინებით აუცილებლად განადგურდებოდა. ლიბანს რომ ჰქონოდა ტრადიციული სამხედრო სტრუქტურა, შესაძლებლობა ომის დაწყებით ეტაპშივე განადგურებულიყვნენ, თუმცა ისინი გაფანტული იყვნენ სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე, ისინი კი კარგ სამიზნეს არ წარმოადგენდა ისრაელის შეიარაღებული ძალების საჰაერო დანაყოფებისთვის. ამ ყოველივე ისინი ფაქტობრივად გადაარჩინა. დიდი დანაკარგის მიუხედავად, სხვა ყველა არაბული არმიისგან განსხვავებით, ჰეზბოლას ქმედებები ებრაულ შეიარაღებულ ძალებთან დაპირისპირების ისტორიის მანძილზე, ყველაზე ეფექტური იყო.[25] ომამდე ისრაელის მიერ განხორციელებული კამპანიებიდან მიზანს ვერც ერთმა ვერ მიაღწია.

თუ რატომ უნდა გაითვალისწინონ მცირე ზომის სახელმწიფოებმა ალტერნატიული მიდგომები , ამის კიდევ ერთი კარგი დადსტურებაა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. ამ მოვლენამ კიდევ ერთხელ, კარგად დაგვანახა როგორი შედეგებით შეიძლება დასრულდეს პატარა ქვეყნისთვის მასზე გაცილებით დიდ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირება ტრადიციული მეთოდებით. სხვადასხვა ექსპერტის მიერ ჩატარებული შესწავლის საფუძველზე, გაკეთდა დასკვნა, რომ ამ კონფლიქტის დროს ქართული მხარის სისუსტე რიცხოვნებასთან ერთად იყო შეიარაღებულ ძალებში მართვისა და კონტროლის სისტემაში არსებული ხარვეზები,

[25] Mozgovaya Natasha & Haaretz Correspondent (Sep 4, 2008). U.S. report: Hezbollah fought Israel better than any Arab army, Haaretz , http://www.haaretz.com/print-edition/news/u-s-report-hezbollah-fought-israel-better-than-any-arab-army-1.259847. 10.06.2019; https://www.haaretz.com/misc/writers/WRITER-1.4968549 19.06.2019

ასევე ჩვენი დანაყოფების არასაკმარისი წვრთნა და მომზადების დონე.[26] პრობლემატური იყო ასევე ჩვენი ჯარის ორგანზაციული სტრუქტურა. 2007 წელს დამტკიცებულ საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში ჩვენ ჯარს უნდა მიემართა ჰიბრიდული (ასიმეტრიული) ტაქტიკისთვის , საბრძოლი საშუალებების შეანრჩუნებისა და მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენების მიზნით.[27] პრობლემა კი არის ის, რომ 2008 წლის ომში დავინახეთ, მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არჩია მძიმე ტანკებსა და ავიაციის სფეროში ინვესტირება. მაგრამ მაშინ როცა, მოწინააღმდეგე ფლობს საჰაერო უპირატესობას, მძიმე ტექნიკა ვერაფერს გახდება. რუსულმა ბომბდამშენეის თავდასხმების შედეგად, საქართველომ დაკარგა სატანკო შეიარაღების მეოთხედი და სხვა სახის აღჭურვილობის მნიშვნელოვანი ნაწილი.[28] მოწინააღმდეგის მიერ საჰაერო უპირატესობის ფლობამ, ომის დაწყებიდან ორ დღეში საქართველოს შეიარეღებული ძალების მომარაგებას სერიოზული პრობლემები გაუჩინა. ამ ომმა დაგვანახა, რომ ვერც მძიმე შეიარაღების და ვერც საავიციო შენაძენებმა ვერ მოგვიტანა სასურველი შედეგი.[29] მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოწინააღმდეგის საჰაერო დარტყმებმა დააზიანა მარნეულის, სენაკის, კოპიტნარის, შირაქის, ვაზიანისა და თბილისის ავიაქარხნის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უდიდესი სურვილის შემთხვევაშიც კი, ჩვენი მხარე ვერ შეძლებდა საკუთარი თვითმფრინავების გამოყენებას. დაზიანებამდე კი, საქართველომ მოასწრო შეტევაზე გადმოსული რუსული დანაყოფების დაბომბვა როკის გვირაბთან, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამით მათ სერიოზული ზიანი მივაყენეთ.[30] ასევე, MI-24-ის ტიპის შვეულმფრენების გამოყენებით ჩვენმა მხარემ რუსეთს გაუნადგურა რამდენიმე მიზანი. სავარაუდოდ, 2008 წლის ომში მიღებულმა გამოცდილებამ განაპირობა სახმელეთო დანაყოფისთვის ავიაციის, ხოლო სანაპირო დაცვისთვის საზღვაო ფლოტის

[26] Hamilton, R. 2010. The Bear came through the tunnel: an analysis of Georgian planning and operations in the Russo-Georgian War and implications for the US policy. In Paul B. Rich (edt.), Crisis in the Caucasus: Russia, Georgia and the West . London: Routledge. P 9-12

[27] National Military Strategy of Georgia, unclassified. Tbilisi, Georgia: Ministry of Defence of Georgia, 2007.P3-4

[28] Felgenhauer, P. (2009). After August 7: the escalation of the Russia-Georgia War. In Svante E. Cornell & S. Frederick Starr (eds.), The guns of August 2008 Russia's War in Georgia . London: M.E. Sharpe. P50-55

[29] A. Lavrov, 2010 - Timeline of Russian-Georgian hostilities in august 2008. In Ruslan Pukhov & David Glantz (eds.), The tanks of August . Moscow, Russia: Centre for analysis of strategies and technologies. P32

[30] A. Lavrov, 2010 - Timeline of Russian-Georgian hostilities in august 2008. In Ruslan Pukhov & David Glantz (eds.), The tanks of August . Moscow, Russia: Centre for analysis of strategies and technologies. P34

დაქვემდებარება.[31] ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ტრადიციული მიდგომა ჯერ კიდევ ვერ ჩანაცვლდა ე.წ. ,,ასიმეტირული აზროვნებით"; ამის დასტურია თვითონ სტრქუტურა და ის, რომ ცალკეულ ქვედანაყოფებში არის მძიმე შეიარაღება დიდი რაოდენობით. ხოლო, დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკისა და შესაბამისი ქვედანაყოფის არსებობა შეიძლება აიხსნებოდეს ოდესმე შესაძლო თავდასხმითი ოპერაციის ჩატარების მიზნით ოკუპირებულ რეგიონების გასათავისუფლებლად. 2008 წლის ომში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენა ასევე კარგად მომზადებული სარეზერვო ძალის არ არსებობა, რომელიც საჭირო ადგილებში მოახდენდა დანაკარგი ძალის ჩანაცვლებას, ასევე, ასეთი არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა გაძლიერებულიყო რეგულაური ქვედანაყოფების ოპერაციები. ჩვენნაირი, მცირე ზომის და შეზღუდული რესურსების მფლობელი ქვეყნისთვის უფრო შესაფერისია მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად მომზადებული და შეიარაღებული რეზერვი. სამწუხაროდ, 2008 წლის ომში განხორციელებულ ოპერაციის ტიპებს, ქვეითი ბრიგადების ძალთა სტრუქტურა არ შეესაბამებოდა, ანუ აქ ჩანს დანაყოფების ორგანიზების პრობლემა. პირველი პრობლემა იყო დანაყოფების ზომა, მით უმეტეს იმ მოწინააღმდეგესთან დასაპირისპირებლად, რომელსაც საჰაერო უიპირატესობა გააჩნია, ამით მათთვის ადვილი გამოსაცნობი გახდა ჩვენი მოქმედებების გეგმა. საჰაერო უპირატესობა, კი რუსულ ჯარს აძლევდა საშუალებას ჩვენი ქვეითი დანაყოფის ფლანგებისთვის შემოვლითი ფლანგებიდან და მანერვირებაში დაეჩაგრა. მთავარი პრობლემა კი იყოს ის, რომ ჩვენ არ გვყავდა იმ რაოდენობის ჯარი, რომელიც მთელ ტერიტორიას დაიცავდა. ცხინვალის რეგიონში რომც მოეხერხებინა ჩვენ შეიარეღებულ ჯარებს, რუსების შეჩერება, ისინი მაინც მოახერხებდნენ დასავლეთ საქართველოს დაკავებას. ასევე, სომხეთში განალგებულ რუსულ არმიას მარტივად შეეძლო განეხორციელებინა დარტყმები თბილისსზე. თუმცა როგორც აღმოჩნდა, ამ გეგმის განხორციელების საჭიროება არ დადგა დღის წესრიგში. ომის შემდგომ, რუსმა ექსპერტმა ცელუიკომ განაცხადა, რომ "გარკვეულ გარემოებებში სომხეთში დისლოცირებულ რუსულ ძალებს შეეძლოთ, ჩართულიყვნენ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საომარ მოქმედებებში და

[31] Tseluiko, V. (2010a). Present and future of the Georgian-Russian conflict. Military aspect. In Ruslan Pukhov & David Glantz (eds.), The tanks of august , (p. 82). Moscow, Russia: Centre for analysis of strategies and technologies.

სამხრეთიდან დედაქალაქის მიმართულებით განეხორციელებინათ შეტევა".[32] საქართველოში რუსეთს წარმატებისთვის 5 დღე დასჭირდა, ჩეჩნეთში კი 2 წელი და თან იძულებული გახდა ხასავიურთის ხელშეკრულების პირობებს დათანხმებოდა, რაც არც თუ ისე ხელსაყრელი იყო კრემლისათვის. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ჩეჩნეთში მეამბოხეები, რომლებიც ძირითადად მოხალისეები იყვნენ, რუსეთთან პირველ ომში ქართველებზე ნაკლებად მომზადებული იყვნენ.[33] ჩვენს ჯარისკაცებს ომამდე სხდასხვა სახის წვრთნა ჰქონდათ გავლილი და ასევე ჰქონდათ საბრძოლო გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში.

ჰიბრიდულ ომზე საუბრისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებლად განსახილველი საკითხი არის რუსეთ-უკრაინის კრიზისის საკითხი; კონკრეტულად კი კონფლიქტები ყირიმის და დონბასის რეგიონებში, სადაც რუსული მხარე უკრაინასთან საბრძოლველად იყენებს არაპირდაპირ ძალებთან ერთად კონვენციურ ძალასაც. ეს კი 2014 წლის ყირიმის ანექსიამ ნათლად დაადასტურა, სპეციალური სამხედრო ფორმირებების გამოყენების მაგალითად კი დონბასის რეგიონი გვაქვს.[34] რუსეთის მთავარ უპირატესობას ძირითად შემთხვევებში განაპირობებს ის, რომ მის ხელშია სხვადსხვა მნიშვნელოვანი ბერკეტი: ეკონომიკური, საინფორმაციო, კიბერსივრცე და ა.შ. დასავლურმა სამყარომ სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობას უწოდა ,,ჰიბრიდული ომი". უფრო ვრცლად ამ საკითხს მიმოვიხილავთ შემდეგ თავებში.

1.3 რუსული ჰიბრიდული ომის ფენომენი და დასავლეთის საპასუხო ნაბიჯები

[32] Tseluiko, V. (2010b). Georgian army reform under Saakashvili prior to the 2008 Five Day War. In Pukhov R., & Glantz D., (eds.), The tanks of august , (p. 16). Moscow, Russia: Centre for analysis of strategies and technologies.

[33] Gall, Carlotta & de Waal Thomas, (1997). Chechnya, a small victorious war .London: Mackays of Chatham plc. P15-20

[34] Grobe, S. *(*2015 May 25 *).* Stoltenberg: NATO massively stepping up military presence in Europe . Retrieved from http://www.euronews.com/2015/03/25/stoltenberg-nato-massively-stepping-up-military-presence-in-europe/ 18.06.2019, P1

2013 წლის 27 თებერვალს არც თუ პოპულარულ რუსულ თავდაცვის ჟურნალში გამოქვეყნდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვალერი გერასიმოვის სტატია სამეზობლოში რუსეთის ქცევის მოდელის კონცეფციის თაობაზე, რომელსაც ჩვენ „გერასიმოვის დოქტრინად“ მოვიხსენიებთ. სტატიის გამოქვეყნება დროში დაემთხვა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას, როდესაც რუსი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ფსევდოარასამთავრობოები, ანალიტიკური ცენტრები, ამოსაცნობი ნიშნის არმქონე სამხედრო პირები, სამთავრობო ინსტიტუტები და პარლამენტი საერთო მიზნისთვის მოქმედებდნენ საერთო სცენარით.[35] ამ სტატიამ კარგად დაგვანახა სახეცვლილი რუსული ომის არსი. გერასიმოვი არაბული გაზაფხულის მაგალითზე განმარტავს, თუ როგორ შეიცვალა ომის წესები და როგორ არის შესაძლებელი ,,წარმატებული სახელმწიფოც კი, რამდენიმე თვეს ან დღეშიც კი, იქცეს კონფლიქტურ ზონად, უცხოური ინვესტიციების მსხვერპლად და აღმოჩნდეს ქაოსში, ჰუმანიტარულ კატასტროფასა და სამოქალაქო ომშიც კი“.[36] ამ ყველაფრისთვის კი, სრულებით არ არის საჭირო უხეში ძალის გამოყენება, პოლიტიკური, საინფორმაციო და სხვა არასამხედრო ინსტიტუციების მობილიზებაც კი სავსებით საკმარისია მოსახლეობაში საპროტესტო სეგმენტთან კოორდინაციისთვის.[37] გერასიმოვი არაბული გაზაფხულის მაგალითზე აღწერს უკრაინაში განხორციელებული ქმედებების თანმიმდევრობას და ამით ასაბუთებს ამ ტიპის ოპერაციის მიზნებს. რუსი გენერლის თანახმად, მსგავსი ოეპრაციების მიზანს უნდა წარმოადგენდეს „მუდმივმოქმედი ფრონტის შექმნა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე“.[38] ანუ ისეთი სახის ქაოსის შემქნა, რომელიც ოპონენტის სახელმწიფოებრიობის შერყევის გზით გახდის მას ქმედუუნაროს.

---

[35] Coalson, R., Top Russian General Lays Bare Putin's Plan for Ukraine, The World Post, September 2 2014, https://www.huffpost.com/entry/valery-gerasimov-putin-ukraine_b_5748480?guccounter=1&guce_referrer=aHR0cHM6Ly93d3cuZ29vZ2xlLmNvbS8&guce_referrer_sig=AQAAAH-ieHV-hvHA6agJC1U1Qg-NOebNtcF_mAnXDVV404x_pILmjS1PfT10cmYmP7X_zmWLGtAw0vqWG_bkTZlfj718jzF7FQ01K2Asvx3xb9yaYCeSoKoUUgkn278fYrMpwJeCtXU3o_bqNgHF4OwMQNslOZCd0dwdSQwoAoI4T1YQ, P1, 18.06.2019

[36] Galeotti, M., The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-linear War, 2014. https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/ 18.06.2019

[37] Galeotti, M., The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-linear War, 2014. https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/ 18.06.2019

[38] Galeotti, M., The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-linear War, 2014. https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/ 18.06.2019

აღნიშნული დოქტრინის არსი ძირითადი იდეა შემდეგია, თანამედროვე ომში ბრძოლის უმთავრესი სამიზნე ადამიანების გონებაა, შესაბამისად უნდა მოხდეს აქცენტის გაკეთება საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომზე. [39] რაც გულისხმობს მტრის შეიარაღებული ძალებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ფსიქოლოგიურ გატეხვას, ამის შემდეგ ძალისმიერი მეთოდების მიმართვა აღარ არის საჭირო. ლატვიის ეროვნული სამხედრო აკადემიის მიერ ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმადაც „მთავარი ამოცანა არის სამხედრო ძალის გამოყენების საჭიროების მინიმუმამდე შემცირება იმით, რომ ოპონენტის სამხედრო და სამოქალაქო მოსახლეობას უბიძგო, მხარი დაუჭიროს თავდამსხმელს საკუთარი ხელისუფლების და ქვეყნის საზიანოდ".[40] ამის საუკეთესო მაგალითი კი არის, რუსეთის სამხედრო ოპერაცია ყირიმში. მათ მოახერხეს გაეტეხათ მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების მორალური სული ისე, რომ მიზნის მისაღწევად საჭირო აღარ გახდა უხეში ძალის გამოყენება.

ე.წ. გერასიმოვის დოქტრინაში არანაკლებ ყურადსაღები ელემენტია პერმანენტული ომის ცნება, რომელიც მუდმივი მტრის იდეას გამოხატავს.[41] მიმდინარე კონფლიქტში რუსეთის ხელმძღვანელობისთვის კონკრეტულად არც საქართველო და არც უკრაინა არ არის ძირითადი მტერი, მიზანი უფრო გლობაურია, შეარყიოს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს მიღწევები იმით, რომ აშშ-ს როლის ევრო-ატლანტიკური გაფართოებული უსაფრთხოების არქიტექტურაში დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ.[42] სწორედ ეს არის კრემლის უმთავრესი ამოცანა, რაც ხსნის იმ თანამედროვე ომის ბუნების ტრანსფორმაციას, რაზეც გერასიმოვი საუბრობს. გრძელვადიანი კონფლიქტები ომსა და მშვიდობას შორის ზღვარს თითქმის აქრობს, ეს ყოველივე კი რუსეთს ხელს უწყობს პირდაპირი ძალისმიერი შეტევის გარეშე დაამხოს მეზობელ არეალში მდეარე ქვეყნების პრდასავლური ხელმძღვანელობები.[43] არასამხედრო საშუალებების მნიშვნელოვანება სულ უფრო აძლევს რუსეთს იმის საშუალებას, ეჭვქვეშ დააყენოს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ინსტიტუტების გადაწყვეტილების მიღების სისტემები, რომლებიც ჯერ

[39] Berzins, J., Russia's New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy, ლატვიის თავდაცვის ეროვნული აკადემია, უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, 2014 წ 04, P4

[40] Berzins, J., Russia's New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy, ლატვიის თავდაცვის ეროვნული აკადემია, უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, 2014 წ 04, P4

[41] Berzins, J., Russia's New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy, ლატვიის თავდაცვის ეროვნული აკადემია, უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, 2014 წ 04, P10

[42] Crisis in the Caucasus : Russia, Georgia and the West / Paul B. Rich. 2010 , P25-35

[43] Russia, the West, and the Ukraine Crisis –Elias Götz – 2018 , P 60-67

კიდევ არ არიან მზად ანონიმურ საფრთხეებს გაუმკლავდნენ. ფარული სახით შეტევების განხორციელების საშუალება, ხელს აძლევს რუსეთის მთავრობას აწარმოოს ისეთი კამპანია, რომელიც შენიღბავს სამხედრო ჩართულობის მასშტაბებს. სტატიაში ასევე არის კიდევ ბერვი საკმაოდ საინტერესო და კარგად გასაანალიზებელი საკითხი სამხედრო სპეციალისტებისა და ექსპერტებისთვის; ასევე შეგვიძლია ამ სტატიია მივიჩნიოთ იმ იდეების განმარტებად, რომელსაც რუსეთის ხელმძღვანელები იყენებენ მოწინაღმდეგე ქვეყნების სუვერენიტეტის დასასუსტებლად პირდაპირი ინტერვენციის გარეშე, ეს ყოველივე საქართველოსთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს და შესაბამისად, ამ გამოწვევის კარგად გაანალიზება სასიცოცლოდ მნისვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვის კონტექსტში. გერასიმოვს მაგალითად მოჰყავს ამერიკისა და ნატოს ეგიდით განხორციელებული ოპერაციები სხვადსხვა წერტილში (ერაყი, ლიბანი, სპარსეთის ყურე) და ამის საფუძველზე გამოაქვს დაკსვნა, რომ ტრადიციული მეთოდების სიძლიერის საზომს გარდა, რაც მოიცავს სამხედრო დანაყოფების შეიარაღების, რაოდენობის და მომზადების დონის, ეკონომიკურ მაჩვენებლების და ა.შ გაზომვას, უნდა დაეთმოს ყურადრება ისეთ საკითხებს, როგორებიც არის კულტურული, დემგრაფიული და სოციალური ფაქტორები, ჰუმანიტარული ინტერვენცია კი უნდა განიხილებოდეს არაკონვენციური ოპერაციების ჭრილში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერასიმოვი ხელს იშვერს ამერიკისა და ნატოსკენ, როგორც არაბული გაზაფხულის მიღმა მდგომი ძალებისკენ, თუმცა ამას ღიად არ აცხადებს. ის ამბობს, რომ ამ ძალების ჩარევამ მოიტანა შიდა არეულობა, ქაოსი და ჰუმანიტარული კატასტროფა. მანდ გამოყო ჰიბრიდული ომის რამდენიმე ელენენტის ფაზები[44] :

პირველია ის ფაზა[45], რომლის დროსაც ფარული მოკავშირეების გააქტიურება ხდება, მზადდება ნიადაგი შემდგომი მოქმედებებითვის. რუსეთი იკრიბავს მოკავშირეებს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. აქტიურდება პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც აუცილებლად

[44] Gerasimov, V. 2013. 'The Value of Science is in the Foresight: New Challenges Demand Rethinking the Forms and Methods of Carrying Out Combat Operations', Voyenno-Promyshlennyy Kuryer Online; https://usacac.army.mil/CAC2/MilitaryReview/Archives/English/MilitaryReview_20160228_art008.pdf; P 35, 18.06.2019

[45] Chekinov S. G.,Bogdanov S. A.. 2013. The Nature and Content of a New-Generation War, MilitaryThought, No. 4 http://www.eastviewpress.com/Files/MT_FROM%20THE 12.06.2019

ემსახურება რუსეთის ინტერესებს და ხდება პოპულარიზაცია რუსული ნარატივის. ეს ყოველივე ახდენს საზოგადოების დყოფას და პოლარიზაციას. ამ ყველაფერს მოსდევს შემდეგი ფაზა,[46] როცა ხდება სიტუაციის ესკალაცია, თამაშში ერთვებიან ექსპერტები და დიპლომატიური წრეები. ამ ეტაპზე შესაძლოა განხორციელდეს სხდასხვა მექანიზმების ამუშავება ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევის მიზნით, საზოგადოებაში ინერგება იდეა შეიარაღებული ამბოხის მოწყობის მოწოდებთ. ამას მოჰყვება მესამე ფაზა[47], კონფლიქტების დაწყება, გამოსვლები და ა.შ, ხშირია პოლიტიკური მკვლელობების შემთხვევებიც, რაც კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას და ნაბიჯ-ნაბიჯ შეუძლია სამოქალაქო დაპირისპირების გამოწვევაც კი. რუსეთი ამ დროს, საკუთარი ინტერესების და უსაფრთხოების დაცვის მიზნიშ იწყებს კონფლიქტის ზონასთან მიმდებარედ ჯარის განთავსებას. ყოველივე ამას მივყავართ კრიზისამდე, ანუ მეოთხე ფაზა დგება[48] - კოფლიქტში ჩარევა. დასავლური საზოგადოება ამას ,,რეჟიმის ცვლილებას" უწოდებს, ანუ არსებული კადრების ჩანაცვლება ხდება რუსეთისთვის მისაღები კადრებით, რასაც მოჰყვება პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა. შემდეგ კი აუცილებელია მშვდობის დამაყრება, ანუ მეექვსე ფაზა.[49] იწყება რუსეთისთვის მიღებული შედეგის განმტკიცება.

გერასიმოვის დოქტრინის გააზრება კი არ მოხდა ყირიმის მოვლენებამდე, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია. ეს დოკუმენტი ნამდვილად წამოადგენს მომავალი კონფლიქტების გაანალიზების კარგ საშუალებას.

რუსულ ჰიბრიდულ ომის ინსტრუმენტებს ვყოფთ ხუთ ძირითად ნაწილად [50]

1. პოლიტიკური ინსტრუმენტები;
2. ეკონომიკური ინსტრუმენტები;
3. სამხედრო ინსტრუმენტები;
4. საინფორმაციო ინსტრუმენტები;
5. სოციალური ინსტრუმენტები.

---

[46] Chekinov S. G.,Bogdanov S. A.. 2013. The Nature and Content of a New-Generation War, MilitaryThought, No. 4 http://www.eastviewpress.com/Files/MT_FROM%20THE 12.06.2019

[47] Chekinov S. G.,Bogdanov S. A.. 2013. The Nature and Content of a New-Generation War, MilitaryThought, No. 4 http://www.eastviewpress.com/Files/MT_FROM%20THE 12.06.2019

[48] Chekinov S. G.,Bogdanov S. A.. 2013. The Nature and Content of a New-Generation War, MilitaryThought, No. 4 http://www.eastviewpress.com/Files/MT_FROM%20THE 12.06.2019

[49] Chekinov S. G.,Bogdanov S. A.. 2013. The Nature and Content of a New-Generation War, MilitaryThought, No. 4 http://www.eastviewpress.com/Files/MT_FROM%20THE 12.06.2019

[50] Kofman, M. and Rojansky, M. A Closer look at Russia's 'hybrid War', No.71 April, 2015, P4-6

პოლიტიკაში მოვიაზრებთ დიპლომატას, შიდა პოლიტიკურ პროცესებს, ასევე ანგაჟირებულ პოლიტიკურ ჟგუფებსა და ცალკეულ პოლიტიკოსებს.[51]ეკონომიკური მიმართულება აერთიანებს თავის თავში არა მხოლოდ მარტივ ეკონომიკურ თემებს, არამედ ვიწრო ეკონომიკურ ინტერესებსაც თუნდაც ქონების შესყიდვას. ამის კარგი მაგალითია ყირიმის ქეისი, სადაც უკრაინის მთავრობას პრობლემას უქმნიდნენ რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირები, რომლებიც ფლობდნენ უძრავ ქონებას ყირიმის ოლქში; რაც თავიდანვე იმის მაჩვენებელი იყო, რომ რუსეთი ამ შესაძლებლობის საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოყენების შანსს არ გაუშვებდა ხელიდან. ქვეყნაში უძრავის ქონების შეძენას ვერავის აუკრძალავ, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ეს ქმედება შესაძლოა იყოს საფრთხის შემცველი.

დაახლოებით იგივე წინაამღმდეგობას ვაწყდებით სოციალურ სფეროშიც. ხშირია კონკრეტული ოჯახების პრობლემის იდენტიფიცირება და მათი მოსყიდვა. ასევე არსებობს ისეთი დაჯგუფებები, როგორებიცაა ულტრანაციონალისტ ბაიკერების ბანდა „ღამის მგლები“, რომლებიც არიან რუსულ სახელმწიფო დღის წესრიგთან არიან აფილირებული მათ ასევე Proxies ანუ გავლენის ჯგუფებსაც უწოდებენ.[52] ალბათ არ იქნება შეცდომა, თუ სოციალურ სფეროში გავაერთიანებთ რუსულ სპეცსამსახურების ფარულ ქმედებებს. ისინი ცდილობენ შექმნანშპიონაჟის ახალი ქსელი. ვარაუდობენ, რომ მონტენეგროში ნატოს მთავრობის ჩამოგდების მცლელობა რუსეთის სპეცსამსახურების მეცადინეობის შედეგად ხორციელდებოდა.

ყველაზე აქტიურად რუსეთი საინფორმაციო მანქანას ამუშავებს. მათი რჩეული მეთოდია დეზინფორმაციის საინფორმაციო სივრცეში ჩაშვება,[53] მეტი ნდობს მოპოვების მიზნით, რისთვის იყენებენ ბოებს, ტროლებს და სხვა საშუალებებს, რომლების ბოლომდე იდენტიფიცირება წარმოუდგენელია.

ინტერნეტი საომარი მოქმედებებისთვის არის მარტივი გზა, რომელსაც არ სჭირდება სცენარი, სტრატეგია, დაგეგმვა, კიბერ-შეტევები მხოლოდ ტაქტიკისა და

---

[51] Galeotti, M., The ‘Gerasimov Doctrine’ and Russian Non-linear War, 2014, https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/ P2, 15.06.2019

[52] Grobe, S. *(*2015 May 25*)*.Stoltenberg: NATO massively stepping up military presence in Europe. Retrieved fromhttp://www.euronews.com/2015/03/25/stoltenberg-nato-massively-stepping-up-military-presence-in-europe/, 18.06.2019

[53] Doctrine for the Armed Forces of the United States. (2013), Joint publication, https://www.jcs.mil/Portals/36/Documents/Doctrine/pubs/jp1_ch1.pdf, P 19-33,18.06.2019

ჯარისკაცების საშუალებით ხორციელდება.[54] ტაქტიკა არის უმარტივესი: დიდი რაოდენობით დაინფიცირებული კომპიუტერისგან იქმნება ქსელი (ე.წ ბოტ-ნეტი) იწყებს ერთდოულად რომელიმე სერვერზე თავდასხმას. საინფორმაციო პაკეტების გაგზავნით, სერვერის საბოლოოდ გათიშვის მიზნით ხორციელდება DDOS-შეტევა. ყველაზე პოპულარული ვირუსი კომიპიუტერების ინფიცირებისთვის არის ტროას ცხენები, რომლებსაც ტროიანებადაც მოიხსენიებენ. მისი მთავარი ფუნქცია სხვისს კომპიუტერის სისტემას შეღწევაა, რაც შემდეგ იძლევა აღნიშნული მოწყოობილობის მართვის საშუალებას.[55] კიბერ-ომის პირველი და და ყველაზე ცნობილი მაგალითი ჩვენს სამეზობოში არის 2007 წლის რუსეთ-ესტონეთის ქეისი. [56] შეტევის მიზეზი იყო ესტონური მხარის ინიციატივა, მეორე მსოფლიო ომის სამახსოვრო საბჭოთა მომუნენტი გადაეტანათ. მეორე და არანაკლებ მასშტაბური შეტევის მსხვერპლი, ჩენც გავხდით. 2008 წლის აგვისტოს ომის ფონზე მიმდინარეობდა ფრიად მნიშვნელოვანი და უმსხვილესი საინფორმაციო ომი. გასუქების ყველა საშუალება: ტელეკამერა, გაზეთები, ფოტოაპარატები, ონლაინ მედიაც კი ჩართული იყო. ყველა ცდილობდა თავისთვის სასურველი ინფორმაცია მიეწოდებინა დანარჩენი მსოფლიოსთვის, სწორედ მაშინ დაიწყო მასიური შეტევები სამავრობო თუ საინფორმაციო და საზოგადოებრივ ვებ-გვერდებზე.[57] მთავარი შეტევა განხორცელდა საქართველოს პარლამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების გვერდებზე, ასევე ახალი ამბების სააგენტოების საიტებზე და მათ შორის მოხვდა აზერბაიჯული საიტიც კი - day.az. უნდა აღინიშნოს, რომ კრემლის ჰაკერებმა ასევე გამოიეყენეს ზემოთხსენებული სტრატეგია 2016 წელს ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნების სამპანიის მსვლელობისას.

დასავლური სამყარო და საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად ცდილობენ დაუპირისპირდნენ რუსეთიდან მომდინარე ამ ტიპის საფრთხეს, რომელი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალეული ქვეყნების სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას,

---

[54] Agence France-Presse *(*2015 May 14*).* NATO, EU To Work Against 'Hybrid Warfare' *. Retrieved* from http://www.defensenews.com/story/defense/international/europe/2015/05/14/nato-eu-work-together-hybrid-warfare/27333967/ ,P1, 18.06.2019

[55] Agence France-Presse (*2015 May 14*). NATO, EU To Work Against 'Hybrid Warfare' *.* Retrieved from http://www.defensenews.com/story/defense/international/europe/2015/05/14/nato-eu-work-together-hybrid-warfare/27333967/ ,P2, 18.06.2019

[56] How a cyber attack transformed Estonia By Damien McGuinnessBBC News, Tallinn, Estonia https://www.bbc.com/news/39655415, P1, 18.06.19

[57] Irakli Lomidze -Cyber Attacks Against Georgia For GITI 2011- DEA- Ministry of Justice of Georgia- Reachable http://dea.gov.ge/uploads/GITI%202011/GITI2011_3.pdf, 10.06.2019, P7

არამედ გავლენას ახდენს მსოფლიო გეოპოლტიკასა და უსაფრთხოების არსებულ ლანდშაფტს. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ყველა სფეროში მიდიანრე გლობალიზაცია ხელს უწყობს პროცესების მაღალი ტემპებით განვითარებას, რაც თავისმხრივ მოითხოვს ყველა დაინტერესებული ქვეყნის , მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციის აქტიურ მუშაობას მიდგმოგების დახვეწისა და გამოწვევაზე გამარჯვების მიზნით.

თავი მეორე. NATO და ჰიბრიდული ომიდან მომდინარე საფრთხეები

ჩვენი ნაშრომის მეორე თავი ეთმობა კოლექტიური უსაფრთხოების საუკეთესო მაგალითის, ნატო-ს მიდგომებისა და ჰირიდულ ომან ბრძოლის მეთოდების განხილვას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ მოვლენას საერთაშორისო ორგანიზაციები უპირისპირდებიან ერთმანეთთან შეთანხმებით და მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიები მოდის ერთმანეთთან ჰარმონფიაში. ამიტომ, აღნიშნულ თავში ასევე ვისაუბრებთ ევროკავშრის მიერ განხირციელებულ ქმედებებზე და მის ჩართულობაზე.

2.1 ნატოს როლი ჰიბრიდულ ომთან ბრძოლაში

კონფლიქტის თანამედროვე ფორმის, ჰიბრიდული ომის არსებობა საფუძვლიანად ცვლის უსაფრთხოების მიმდინარე ანატომიას და ბადებს შეკითხვებსს არა მარტო კონკრეტულად საფრთხეების ბუნების შესახებ, რომელთა წინაშეც ვდგავართ, არამედ ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება უსაფრთხოების არსებული ინსტიტუტების უნარიანობა წინ აღუდგეს ხსენებულ გამოწვევას. ეს უპირობოდ მოახდენს გავლენას ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით მიმდინარე განხილვებზე, მაგრამ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მოახდენს გავლენას გაფართოებული შეკავების იდეის საიმედოობასა და ალიანსის უნარზე, ეფექტიანად აღუდგეს წინ ამ გამოწვევებს. -„მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო ალიანსის მთელი სიძლიერე მნიშვნელობას დაკარგავს, თუ მისი წევრები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, როდესაც აგრესორი დაწესებულ ზღვარს გადალახავს“, ნათქვამია ჟურნალ

„ეკონომისტის“ ერთ-ერთ პუბლიკაციაში ალიანსის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.[58]

ნატო, თავის მხრივ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობდა ჰიბრიდული ომის თემას, ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ვარშავისა და უელსის სამინიტები და იქ შემუშავებული სტრატეგია და დეკლარაციები.

ვარშავის სამიტზე სამიტის ჩატარება განაპირობა, იმ ძირითადმა გამოწვევებმა, რაც სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებისაგან მომდინარეობდა სამხედრო, ტერორისტული, კიბერ და ჰიბრიდულ სფეროებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთის მიერ გახორციელებულ აგრესიულ ქმედებებს, ასევე, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და მათ გავლენას ნატო-ს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე. ვარშავაში შემუშავდა დეკლარაცია, რომლის თანახმად, 2017 წლის დასაწყისიდან ბალტიისპირა ქვეყნებსა (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) და პოლონეთში განათავსდა ნატოს ბატალიონის ზომის 4 სამხედრო ქვედანაყოფი, რომლებიც ადგილობრივ სამხედრო ქვედანაყოფებთან შეთანხმებულად მოქმედებენ[59]. აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე კი ჩატარდა ნატო-ს 2014 წლის უელსის სამიტი, სადაც დაამტკიცეს მზადყოფნის სამოქმედო გეგმა (Readiness Action Plan - RAP), რომელის მიღებაც, ასევე რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა და მათი სტრატეგიული გავლენის საპასუხოდ მოხდა.[60] RAP-ის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებიდან გამოვყოთ შემდეგი: გარდა შეიარაღებული ძალების მობილიზებისა და წვრთნების ჩატარებისა, ნატოში შემუშავდა სტრატეგია ჰიბრიდული საფრთხეების ნეიტრალიზების მიზნით, რომელსად ევროკავშირი უწევდა კოორდინირებას. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2014 წელს უელსის სამიტზე მიღებული ზემოთხსენებული გადაწყვეტილებები ატარებდა პოლიტიკურ გზავნილს რუსეთის ფედერაციის მიმართ ნატო-ს თანამშრომლობითი უსაფრთხოების პრინციპთან დაკავშირებით ალიანსის ურყევი პოზიციის შესახებ.

---

[58] How the NATO's Article 5 works, The Economist, March 9, 2015, https://www.economist.com/the-economist-explains/2015/03/09/how-natos-article-5-works, P1, 16.06.2019

[59] Warsaw Summit Key Decisions 2016 - North Atlantic Treaty Organization – Reachable - https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2017_02/20170206_1702-factsheet-warsaw-summit-key-en.pdf ,P1, 16.06.2019

[60] Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales 2014 – Reachable - https://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm, P1, 16.06.2019

ვარშავაში ალიანსმა ასევე შეიმუშავა გარკვეული სტრატეგია კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჰიბრიდული საფრთხეების განეიტრალების მექანიზმების გასაძლიერებლად. ნატომ ამით კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი როლი ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლასა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მნიშვნელობა. ის რომ, ამ პრობლემის წინააღმდეგ ერთობლივი ძალისხმევით ეფექტიანად რეაგირება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, ადასტურებს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, ევროკომისიის პრეზიდენტის და ნატო-ს გენარალური მდივნის ერთობლივ დეკლარაციაც. ნატო-მ ასევე დაამტიცა მოკავშირეთა შეთანხმების ამსახველი დოკუმენტი (Cyber Defence Pledge), რომელიც ავალდებულებს ალიანსის წევრ სახელმწიფოებს, იმოქმედეგონ ქმედითად აღნიშნულ სფეროში პროგრესის მიღწევისათვის, მათ შორის გააძლიერონ ეროვნული ქსელები და ინფრასტრუქტურა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით[61]. ამ მიზნით კი საჭიროა, გამოყოს შესაბამისი ფინანები, ასევე, ხელი შეუწყონ კიბერუსაფრთხოების მიმართულების საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და უნარების განვითარებას.

გარდა ამ რეაგირებისა, ნატომ გააძლიერა სადაზვერვო თანამშრომლობა მოკავშირეებს შორის გაერთიანებული ერების დაზვერვისა და უსაფრთხოების ახალი სამმართველოს (JISD) შექმნის გზით. აღსანიშნავია ჰოლისტიკური მიდგომის გაზრდის საჭიროება, ჰიბრიდული ანალიზისთვის ახალი ფილიალი შეიქმნა JISD- ის ფარგლებში, რათა ალიანსის წევი ქვეყნები გაეცნონ ჰიბრიდული ქმედებების სრულ სპექტრს სამხედრო და სამოქალაქო, კლასიფიცირებული და ღია წყაროებიდან. ჰიბრიდული ომის ბევრ ასპექტს - როგორიცაა დეზინფორმაციის, კიბერ საფრთხეებისა და ენერგოუსაფრთხოების საწინააღმდეგო მოქმედებები - ასევე ნატო-ს სახალხო დიპლომატიის განყოფილება და განვითარებადი უსაფრთხოების გამოწვევების სამმართველო ფარავს. ალიანსმა ასევე შექმა თანამშრომლობის პლათფორმა უკრაინაში, რომელიც ეთმობა ჰიბრიდულის საფრთხეების ანალიზსა და მათ თავმოყრას ერთიან საინფორმაციო ბაზაში, შემდგომი სტრატეგიის შემუშავებისა თუ განვითარებისთვის.

---

[61] NATO's Cyber Defence Pledge: Developing the NATO cyber defence capability and capacity – 2016; http://www.atahq.org/2018/03/natos-cyber-defence-pledge-developing-nato-cyber-defence-capability-capacity/, P1, 18.06.2019

ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების მიზნით მსიოფლიოს სხვადასხვა წერტილში ფუნქციონირებს ნატო მიერ მხარდაჭერილი ცენტრები, ასეთია მაგალითად სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრსი რიგაში, კიბერუსაფრთხოების ცენტრი ტალინში, ენერგოუსაფრთხოების ცენტრი ვილნიუსში და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ევროპული ცენტრი (Hybrid CoE), რომელშიც ერთიანდება ნატოსა და ევროაკავშირის რამდენიმე სახელმწიფო და ფუნქციონირებს 2017 წლიდან. ყველა ზემოთხნსენებული ორგანიზაცია აკვირდება მიმდიანრე პროცესებს და ანალიზის საფუძველზე ქმნიან სამოქმედო გეგმას ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

2007 წელს რუსეთის მხრიდან განხორციელდა სერიოზული კიბერ-შეტევა ესტონეტის ინტერნეტ სივრცეზე, რამაც ამ უკანასკნელს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. გარკვეული დროის განმავლობაში მიუწვდომელი იყო ესტონური ინტერნეტ რესურსები, დაზიანდა ესტონური საიტები. ამ ფაქტის შემდეგ ნატომ გადადგა ქმედითი ნაბიჯები კიბერუსაფრთხოების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით. 2016 წლის ვარშავის სამიტზე მოხდა კიბერსივრცის შეფასება შემდეგნაირად - ,,ოპერაციების განხორციელების არეალი, რომელიც უნდა დაიცვას ნატომ“. [62]

2017 წლის თებერვალში, ნატოს მოკავშირეებმა დაამტკიცეს სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც კიბერ საფრთხე სახელდებოდა ერთ-ერთი ძირითად უსაფრთხების გამოწვევად და ასევე გამოხატავდა ნატოს მზაობას განახორციელოს მრავალმხრივი თანმშრომლობა ამ თემის ფარგლებში. ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ნატოს ეგიდით იმართება კიბერსაფრთხეების თავიდან აცილების მიზნით სწავლებები გაერთიანების წევრი და მოკავშირე ქვეყნების წარმომადეგნლებისთვის, ასევე ხდება გამოცდილების გაზიარება პარტნორების შორის. ამას გარდა, ნატო აქტიურად მუშაობს საკუთარი ქსელების დაცვაზე, რასაც ასევე საკუთარ პრიორიტეტულ მიმართულებადაც ასახელებენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2016 წელს ნატოს ქსელებზე თვიურად ხორცილედებოდა 500 კიბერ თავდასხმა.[63] ნატო ასევე თანამშრომლობს ევროკავშირთან კიბერ-თავდაცვის სფეროში: ორმა ორგანიზაციამ გაზარდა საინფორმაციო გაცვლა და მონაწილეობა მიიღო

[62] (1 Warsaw Summit Communiqué -Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Warsaw 8-9 July 2016).

[63] The Secretary General's Annual Report 2016

ერთობლივ წვრთნებში. იგი ასევე დათანხმდა ინციდენტების რეაგირებისა და კრიზისის მართვის სფეროში თანამშრომლობაზე.[64]

2.2 ევროკავშირის ჩართულობა და მიდგომები ჰიბრიდულ ომთან გასამკლავებლად

მნიშვნელოვანი რესურსებისა და რბილი ძალის მქონე ევროკავშირი, თავის რეგიონში და არა მარტო, ჰიბრიდული საფრთხეების, კერძოდ დეზინფორმაციასთან და კიბერშეტევებთან ბრძოლის მიმართულებით ერთი-ერთი ძირითადი მოთამაშეა ევროპის მდგრადობის შესაქმნელად. 2016 წლის ევროკავშირის და ნატო-ს ერთობლივ დეკლარაცია აერთიანებს 40-ზე მეტი კონკრეტულ სფეროში თანამშრომლობას და აქედან 10 ეთმობა თანამშრომლობის გაძლიერების ჰიბრიდული საფრთხეებთან ბრძოლის მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ აქ იგულისხმება ამ ორ საერთაშორისო ორგანიზაციაში მომუშავე თანამშრომლების მონაწილეობას პროცესებში და არა შემავალი ქვეყნებისა ერთმანეთთან.

2016 წლის აპრილში ევროკომისიამ და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის კავშირის უმაღლესი წარმომადგენელმა ჩამოაყალიბეს თანამშრომლობა ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ. [65] საკანონმდებლო ბაზა განსაზღვრავს ევროკავშირის მხრიდან წევრი სახელმწიფოების დახმარებას ჰიბრიდული საფრთხეებისთვის წინააღმდეგობის გაწევისას, ასევე მოიცავს აღიარებას, რომ ამ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ წევრ სახელმწიფოს ცალცალკე.

სადაზვერვო ანალიზის გაზიარებით სიტუაციური ცნობიერების გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირმა შექმნა ჰიბრიდული უჯრედების ქსელი (Hybrid Fusion Cell).[66] რუსეთის დეზინფორმაციის კამპანიების საპასუხოდ, ევროკავშირმა შექმნა აღმოსავლეთ სტრატკომისიის სამუშაო ჯგუფი (East StratCom Task Force), რომელიც

---

[64] The 2016 EU-NATO Joint Declaration, https://www.consilium.europa.eu/media/21481/nato-eu-declaration-8-july-en-final.pdf, P1, 18.06.2019

[65] Brussels, 6.4.2016 JOIN(2016) 18 final - JOINT COMMUNICATION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL, P1, https://www.hybridcoe.fi/wp-content/uploads/2017/08/Joint-Framework-on-countering-hybrid-threats-1-2.pdf, 18.06.2019

[66] A EUROPE THAT PROTECTS: COUNTERING HYBRID THREATS June 2018. - https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/hybrid_threats_en_final.pdf, 1, 18.06.2019

ასევე მოიხსენიება როგორც ევროკავშირის "მითი-ბასტერები". ათეული ნაციონალური მემარცხენე დიპლომატი ყოველდღიურად რუსეთის ონლაინ დეზინფორმაციას აღრიცხავს, ამ ჯგუფის ბიუჯეტი წელიწადში ერთი მილიონი ევროა.[67] მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მიერ ახლახანს შეიქმნა მუდმივი სტრუქტურული თანამშრომლობა თავდაცვის შესახებ (PESCO), რომელიც ძირითადად, რთულ უსაფრთხოების ინვესტიციებზეა ორიენტირებული, 17 ერთობლივი თავდაცვის პროექტიდან, რომელიც ხორციელდება ლიტვის ხელმძღვანელობით და ევროკავშირის ხუთი წევრის ჩართულობით, ა - ითვალისწინებს კიბერ რაპიდური რეაგირების ახალი გუნდების (Cyber Rapid Response Teams) ჩამოყალიბებას.

2017 წლის დეკემბერში ევროკავშირმა შეიმუშავა მუდმივი კომპიუტერული გადაუდებელი რეაგირების ჯგუფი (CERT-EU), რომელიც მოიცავს ევროკავშირის ყველა ინსტიტუტს, ორგანოსა და სააგენტოს.

ევროკავშირი 50 მილიონ ევროს გამოყოფს კერძო სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, მათ შორის, კვლევითი ცენტრების, უნივერსიტეტის პროგრამებისა და მრეწველობის პარტნიორების ქსელის განვითარებისთვის, რათა უზრუნველყოს ევროკავშირის მიერ განსაზღვური კიბერ გამოწვევების დაძლევა და ინდივიდუალური წევრი სახელმწიფო შესაძლებლობების გაძლიერება.

2.3 ხისტი ძალის ფაქტორი ჰიბრიდულ ომში

ჯოზეფ ნაიმ და რობერტ კიოჰანმა ჩამოაყალიბეს თავიანთ გახმაურებულ ნაშრომში ძალა და ურთიერთდამოკიდებულება (1977). ნაი და კიოჰეინის მიხედვით, არსებობს ორი ტიპის ძალა: ქცევითი (behavioral power) და სარესურსო (resource power)[68]. - ქცევითი ძალა იძლევა საშუალებას მივიღოთ ის შედეგი, რაც გვსურს. თავის მხრივ

[67] European Parliament resolution of 18 April 2018 with observations forming an integral part of the decision on discharge in respect of the implementation of the general budget of the European Union for the financial year 2016, Section X – European External Action Service (2017/2145(DEC))) - http://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2018-0130_EN.html, P3, 18.06.2019

[68] Robert O Keohane; Joseph S Nye - Power and interdependence : world politics in transition, - 1997, P 35-45

ქცევითი ძალა კიდევ ორ ტიპად იყოფა, ესენია - რბილი ძალა (soft power) ,[69] რომლიც არის შესაძლებლობა მიაღწიო შენს მიზანს მოზიდვის და არა ძალდატანების საშუალებით; და ხისტი ძალა (hard power) - შესაძლებლობა გააკეთებინო სხვებს ის, რასაც ისინი სხვაგვარად არ გააკეთებდნენ ჯილდოების ან სასჯელის გამოყენებით; სარესურსო ძალა ნიშნავს იმ რესურსების ქონას, რომლებიც როგორც წესი გამოიყენებიან შედეგების მისაღწევად. რუსეთი, თემაში ზემოთხსენებულ მეთოდებთან ერთად საქართველოს და არა მხოლოდ ამ ტერიტორიაზე იყენებს ხისტი ძალის ფენომენს, საკუთარი ინტერესების გასატარებლად და პოზიციების გასამაყრებლად.

ხისტი ძალის პოლიტიკა ემსახურება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში შიშისა და დაძაბულობის განცდის დაკვირდებას, ამის კარგი მაგალითია მათი მხრიდან ე.წ. „საზღვრის" უკანონო გავლება, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივი სამხედრო წვრთნები მკვეთრი გზავნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რითაც გვაჩვენებს რუსეთსი მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ხისტი ძალა.

საყურადღებოა, რუსეთის მთავრობის მიერ გაფორმებული სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობის ხელშეკრულებები სეპარატისტულ მთავრობებთან, რაც უსვამს ხაზს რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულებელყოფა და ამ მიდგომით ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი ძლევამოსილება . შესაბამისად, აშაკრაა რუსეთის მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში (სირია, უკრაინა) არის პროპაგანდის ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტი.

ასვე საყურადღებოა, რომ რუსეთიდან შემოსული ფულადი მასების რაოდენობის კონტროლი მხოლოდ საჯარო ინფორმაციებზე დაყრდობით ხდება, რაც თავის მხრივ გამორიცხავს საერთო სურათის მიღების შესაძლებლობებს. რუსული ფონდებისა და მათი პარტნიორნი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება არ არის გამჭვირვალე, რის შესახებ ვერც მათი ვებ-გვერდებიდან ან მათ მიერ გავრცელებული პრესრელიზებიდან ვიღებთ ინფორმაციას. გასაკვირი არ არის არც ის გარემოება, რომ მათი ხელმძღვანელები არ საუბრობენ დაფინანსების წყაროებზე.

მოსყიდვად შეგვძლია მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ საქართველოში რუსული დიპ წამომადგენლობა, რომელიც შვეიცარიის საელჩოს ფრთის ქვეშ არსებობს, ახორციელებეს გრანტების გაცემას ქართულ ორგანიზაციებზე. პრორუსული

[69] (1 Nye Jr. Joseph, Reviewed by G. John Ikenberry, "Soft Power: The Means to Success in World Politics", Foreign Affairs, June 2004; Available at - https://www.foreignaffairs.com/reviews/capsule-review/2004-05-01/soft-power-means-success-world-politics, P1; 18.06.2019

ორგანიზაციები სხვადასხვა მეთოდით იღებენ არაოფიციალურ დაფინანსებასაც და არ არის გმაორიცხული, რომ ფულის ეს ნაკადი მოედინებდოეს რუსული სპეცსამსახურებიდან.

ჩვენი ქვეყნის 20% რომ რუსეთს აქვს ოკუპირებული ეს ახალი არავისთვის არ არის., სადაც რუსეთის ჯარების დიდი რაოდენობით არიან განთავსებული, ეს კი თავის მხრივ ნათელს ჰფენს რუსეთის მიზანს, კონტროლქვეშ ჰყავდეს აღნიშნული რეგიონი და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მათი სრული ანექსია. ოკუპაციის მიზანი არა მხოლოდ დაპყრობა, არამედ გავლენის მოხდენაც შესაძლოა იყოს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, რაც ართულებს ჩვენი ქვეყნის ინტეგრირების საკითხსი ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებაში.

ბორდერიზაცია სამწუხაროდ არის მზარდი და ასევე ხშირია ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის გატაცების ფაქტები, რაც მნიშვნელოვნად არღვევს ჩვენი მოქალაქეების უფლებებს. გასულ წელს მოხდა აფხაზეთში მაშინდელი მთავრობის ჩანაცვლება რუსეთისთვის სასურველი ხარჯიმბას გუნდით. აფხაზეთის ტერიტორიზე მცხოვრები ძალიან ბევრ ქართველს ჩამოართვეს მოქალაქეობა, ამით შეუზღუდეს ხმის მიცემისა და ამავდროუალდ კერძო ქონების განკარგვის უფლება, ასევე ავტომატურად გაუუქმდათ სწავლის, ჯანდაცვის სისტემით სარგებლობისა და საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის უფლება. ასევე სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენა ჩაანაცვლა რუსულმა.

ზემოთხსენებული პრობლემების წინაშე დგას ასევე, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა. მათ არ აქვს სახელმწიფო ენაზე განატლების მიღების საშუალება, საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებაც ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ე.წ. საზღვრის უკანონო კვეტის ბრალდებით დაკავებულ ქართველთა რიცხვი კი უფრო და უფრო იზრდება.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ქმედებებზე დაყრდნობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მთავრობის შემრიგებლური მიდგომის მიუხედავად, რუსეთი უგულვებელყოფს და არაფრად აგდებს ყველა საერთაშორისო ნორმასა და პირობას. უხეში ძალის გამოყენების გაგრძელება თავის მხრივ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ოფიციალური მოსკოვი ცდილობს თბილისის იძულებას უარი თქვას აღებულ კურსზე, კერზოდ ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრირებაზე. თუმცა აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მთავრობა ახორციელებს აქტიურ მუშაობას და კორდინაციას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან.

თავი მესამე. რბილი ძალის ფაქტორი ჰიბრიდულ ომში

ჰიბრიდული ომი, როგორც ომის თანამედროვე მიმდინარეობა მთავარ, მაგრამ არა მხოლოდ იარაღაც იყენებს რბილი ძალის ფაქტორს. ეს უმთავრესი ასპექტი თავის თავში კი სხვადასხვა მიმართულებებს აერთიანებს. მესამე თავში ვისაუბრებთ ,,რბილი ძალის", როგორც ჰირბიდულ ომში მოვლენის შესახებ. ეს მიმდიანრეობაა, რომელიც ერთნაირად საყურადღებოა პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური და სამართლებრივი მიმდინაორეობებით. საზოგადოების დარწმუნებისა და მათი აყოლიების საუკეთესო გზა კი წარმატებული საინფორმაციო ომის წარმოებაა, რომელსაც ამავდროულად კონკრეტული მაგალითების საფუძველზე განვიხილავთ. ომის, ამ ტიპის გაწმოებისას თითოეულ ადამიანს ეკისრება კონკრეტული როლი და პასუხისმგებლობა, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ცალკე ქვეთავის სახით განგვეხილა მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი.

3.1 რბილი ძალა და მისი გამოყენების პოლიტიკური განზომილება

თემის მსვლელობისას არა ერთხელ აღვნიშნეთ და კდიევ გავიმეორებთ, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიხედვით „ჰიბრიდული ომი" არის ისეთა ტაქტიკა, რომლის დროსაც კლასიკური და ყველასთვის კარგად ნაცნობი სამხედრო მოქმედბებისა და საშუალებების გამოიყენება არ ხდება. ეს არის ომი დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მეშვეობით მიმდინარეობს, აქვე, ბრძოლის დამატებითი ელემენტებია სპეცდანიშნულების ძალების ფარულ გამოყენება და ეკონომიკური ზეწოლა. ომის ამგვარ სახეობას ჩვენ „რბილ ძალადაც" ვიცნობთ.

„რბილი ძალის" ცნება, ავტორის ერთ-ერთ ცნობილ თეზისში „რბილი ძალა: წარმატების საშუალება მსოფლიო პოლიტიკაში", ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჯოზეფ ნაიმ წარმოადგინა. „რბილი ძალა" საკუთარი ინტერესების გატარების ისეთი სახეა, რომელიც არ გულისხმობს თავის თავში ძალდატანებას ან ეკონომიკური სტიმულის გაცემას. როგორც ჯოზეფ ნაი გვეუბნება, რბილი ძალა არის

„უნარი, მიაღწიო შედეგს არა ძალდატანების ან გადახდის, არამედ დარწმუნებისა და მიმზიდველობის მეშვეობით".[70] ყველა ვთანხმდებით, რომ „რბილი ძალა" სწორედ მიმზიდველი ძალაა, რასაც განაპირობეს სხვადასხვა ფაქტორი და მახასიათებელი. ამ სიაში პირველი უნდა აღვნშნოთ ღირებულებების განხორციელების პროცესში თანაზიარობის განცდა.

,,რბილი ძალის" თეორია ერთ-ერთი აქტუალური და მოდერნისტულია პოლიტიკურ მეცდნიერებებში, ის ნელ-ნელა საერთშორის ურთიერთობეშიც იკავებს ადგილს როგორც მისი განმსაზღვრელი ფაქტორი. ამ თეორიას შესწევს ძალა, იყოს გარკვეულ წილად გზამკვლევი ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში.

მიგვაჩვია, რომ ამ თეორიის მაქსიმალური ანალიზი და შესწავლა ბევრ პოზიტიურ შედეგს მოუტანს არა მარტო ჩვენ ქვეყანას, არამედ დანარჩენ მსოფლიოსაც.

პროფესორი ნაი[71] გამოყოფს ,,რბილი ძალის" შემდეგ ასპექტებს, ესენია:

1. პოლიტიკური,
2. ეკონომიკური,
3. დიპლომატიური,
4. სამართლებრივი ასპექტები.

რბილი ძალა სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული ფორმითა და მეთოდით ხორციელდება. მაგალითად, რბილი ძალა რუსეთისათვის წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც რუსეთი ახდენს საკუთარი ნარატივის გატარებას საინფორმაციო და კულტურული ზეგავლენის მისაღწევად, ანუ საგარეო პოლიტიკის ამ მიმართულების განხორციელება ემსახურება უცხოეთში რუსების ინტერესების დაცვას.

რბილი ძალის თეორიის შესწავლისას იკვეთება საერთაშორისო პოლიტიკის ცვალებადი ხასიათი, რაც ზრდის ამ მოვლენის მნიშვნელობას აწმყოში წარსულთან შედარებით. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები მოითხოვს ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის შემუშავებას, რაც თავისთავად გულისხმობს რბილი ძალის პოლიტიკური მნიშვნელობის ხაზგასმას. მით უმეტეს ანგარიშგასაწევია საერთაშორისო არენაზე ასიმეტრიული საფრთხეების ზრდის

[70] THE NEW NATO-RUSSIA MILITARY BALANCE: IMPLICATIONS FOR EUROPEAN SECURITY - R I C H A R D S O KO L S K Y – 2017 Soft Power: The Means To Success In World Politics Paperback – April 26, 2005, https://carnegieendowment.org/2017/03/13/new-nato-russia-military-balance-implications-for-european-security-pub-68222, P 5, 18.06.2019

[71] Joseph S. Nye Jr. 2005 Soft Power: The Means To Success In World Politics , P15-20

მაჩვენებლები გაძლიერება, რომლის დაძლევაში ან შემცირებაში გადამწყვეტი როლი ეკისრება სამხედრო ძალას, ეკონომიკურმა სიძლიერესა და სოციალურმა სტაბილურობას.

ის ფაქტი, რომ პოლიტიკური განზომილების ძალით რომელიმე ქვეყანა რესურსებს ფლობს, სასურველი შედეგის მიღების გარანტი არ არის. მაგალითად, ამერიკა, რომელიც გაცილებით ძლიერი ქვეყანაა, დამარცხდა ვიეტნამ-ამერიკის ომში, ასევე მათ ვერ შეძლეს 2001 წლის საზარელი ტერაქტის თავიდანაცილება.[72] პოლიტიკურ კონტექსტში ზესახელმწიფოს, აშშ-ს აქვს უმარლესი სამხედრო მიღწევები, მაგრამ იგივეს ვერ ვიტრვით სხვა სფეროებზე, მაგალითად ეკონომიკური თვალთახედვით ამერიკას არ შეუძლია მიიღოს სასურველი შედეგები ვაჭრობაზე, ანტიმონოპოლიაზე და ფინანსური რეგულაციების საკითხებზე ევროკავშირის, იაპონიის, ჩინეთისა და სხვების თანხმობის გარეშე, რაც ეჭვქვეშ აყენებს ამერიკულ ჰეგემონიას მსოფლიო სივრცეში.

ნათელია, რბილი ძალის პოლიტიკური განზომილებები კავშირშია სახელმწიფოების პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილბებთან, რომელთა შორის ძირითად ადგილს იკავებს სამხედრო აქტივები, მაგრამ რბილი ძალა საერთაშორისო პოლიტიკაში წარმომშვა ღირებულებათა სისტემამ, რაც გამოიხატება კულტურაშიც.[73] ამ კუთით ამერიკის პოლიტიკურ ისტორიაში რბილი ძალის მნიშვნელობას მიმდევრები იყვნენ ვუდრო ვილსონი, ფრანკლინ რუზველტი და, მოგვიანებით, ჯონ კენედი.

ეკონომიკური და სამხედრო კრახის შემთხვევაში, რბილი ძალის რესუსებიც ავტომატურად მცირდება, რაც თავის მხრივ ამცირებს მისი მიზიდულობის ხარისხსაც. თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო თხზავს მითს საკუთარი სიძლიერი შესხებ და ამით მიზიდულობის ინდექსს იწევს, ამავდროულად შესაძლოა იქნეს გამოყენებული ხისტი ძალაც გარკვეული ინსიტუციების შექმნის მიზნით, რომლებსაც შემდგომ გამოიყენებენ პატარა სახელმწიფოებისთვის დღის წესრიგის კარანხის მიზნით. ამის მაგალითია საბჭოთა კავშირის გავლენა აღმოსავლეთ ევროპასა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაზე. რბილი ძალა ძირითადად ეყრდნობა სამ რესურსს: კულტურას, პოლიტიკურ

[72] Joseph S. Nye Jr The Decline of America's Soft Power 2004, https://www.foreignaffairs.com/articles/2004-05-01/decline-americas-soft-power, P 1, 18.06.2019

[73] Joseph S. Ny 2008 Public Diplomacy and Soft Power, P 94-109

ღირებულებებსა და საგარეო პოლიტიკას. ამ მიმართულების მაგალითია, ამერიკელების მიერ შექმნილი უნივერსალური კულტურა.

საქართველოში რუსეთის პროპაგანდა ძირითადად სამი მიმართულებით მუშაობს, რომელსაც მუდმივად ვისმენთ პრორუსული იდეოლოგიის გამტარებელთა მხრიდან:

- პირველი და უმთავრესი არის სარწმუნოება, რუსეთის მომხრეები ყოველთვის აპელირებენ რელიგიის თემით. მათი მთავარი არგუმენტი ოფიციალურ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებისა და მის ფრთის ქვეშ ყოფნის დადებით კონტექსტში წარმოჩენისას არის ერთმორწმუნება.
- საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ერთ-ერთი უმთავრეს შიშს წარმოადგენს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ასოცირების შემთხვევაში ნაციონალური იდენტობის ხელყოფა, რაც არც რუსეთს გამოჰპარვია და პრორუსული ძალები ამ მიმართულებითაც ახორციელებენ აქტიურ მუშაობას. ისინი შთააგონებენ მოყვლად ჯგუებს, რომ მხოლოდ რუსეთთან ყოფნით შეუძლია საქართველოს როგორც ტრადიციულ ქვეყანას გადარჩენა;
- გასაკვირი არავისთვისაა ის საკითხი, რომ ტერიტორიულად ახლოს მდებარე ქვეყნებს ბევრი რამ აქვთ საერთო, ჩვენი მეზობლობა საუკუნეებს ითვლის და უკვე დამკვირდა მრავალი საერთო წესი და ჩვეულება, ამ ყოველივეს კი რუსეთი კვლავ სათავისოდ იყენებს.

თითოეულ ჩვენს მიერ ჩამოთვლილ კომპონენტს ჰყავს საკუთარი ,,კურატორი“, ანუ ის ვინც ამ საფეხურის განხორციელებაზე აგებს პასუხს. შესაძლოა ეს იყოს სასულიერი პირი, პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, საბჭოური ინტელიგენციის დამსახურებული წარმომადგენლები და ა.შ. მათი მეცადინეობით იქმენა ანტიდასავლური პოლიტიკური მითები, რომელთა მიზანია რუსეთის და მისი ხელმძღვანელობის დადებით კონტექსტში წარმოჩენა და ამითი მათი მომხრეების რაოდენობის გაზრდა.

განვიხილოთ ჩვენს ქვეყანაში დამკვირდებული ანტიდასავლური მითები.

1. დასავლეთი ებრძვის ქართულ მართმადიდებულურ რწმენასა და ტრადიციებს

ამ ნარატივს ძირითადად პრორუსული ძალები იყენებენ სოციალური და ეროვნული უმცირესობების მიმართ, მაგალითად მუსუმანები, ებრაელები, თურქები, ლგბტ თემი და ა.შ. ამ მიმართულებით საინტერესოა სტატია გაზეთიდან ,,საქართველო და მსოფლიო“, სადაც მოთხრობილია თუ როგორი მძიმე ზაფხული დაუდგა 2012 წელს საქათველოს, როგორც XXI საუკუნის მართლმადიდებლობის წინააღმდეგ უპრეცედენტო გლობალური ინფორმაციული ომის დასაწყისი. აქვე ვკითხულობთ - ,,

უწინ ჩვენს სარწმუნოებას ცივი იარაღით თავს ესხმოდნენ მაგისტრები და მეფენი, დღეს დასავლეთის უდიდესი მედიამანქანა ამხედრდა მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ."[74]

ასევე, საკმაოდ მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია საეკლესიო პირების მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, რადგან ჩვენს ქვეყაში საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი თვლის თავის თავს მორწმუნედ და ისინი თავს ვალდებულადაც კი მიიჩნევენ იცხოვრონ და იმოქმედენ მათთვის ავტორიტეტული პირების რჩევებისა და დარიგებების საფუზველზე. გთავაზობთ, მამა იობის განცხადებას, რომელიც არის ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი. ის ამბობს, რომ ადამიანები რომლებიც მართლმადიდებელნი არ არიან, მაგალითის ასაღებად არ გამოდგებიან და მათ სულიერად მკვდრებს უწოდებს. რაზეც დაგვეთანხმებით, საკმაოდ შეურაცხმყოფელი განაცხადია. ის დასავლურ სახელმწიფოს გვიხატავს, როგორ გაუფასურებული ადამიანური ღირებულებების ადგგილს და რატომღაც, ეგოიზმის სავანედ ხატავს მას. მან ასევე განაცხადა:-,,მათთვის სამშობლოს ცნება არ არსებობს; მათი გონება მატერიალური კეთილდღეობისკენაა მიმართული. სული კი მკვდარია." [75] დაგვეთანხმებით, რომ მსგავსს განცხადებას ძალიან მარტივად გამოიწვიოს დაძაბულობა რელიგიურად განსხვავებულ საქართველოს მოქალაქეებს შორის.

შემდეგი მითია ის, რომ მხოლოდ რუსეთშია საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა. ეს იდეა ემსახურება მოსახლეობის დარწმუნებას, რომ ევროკავშირის ერთადერთი მიზანია ჩვენს ქვეყნაშო სოფლის მეუნეობის განადგურება და საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად ქცევა. ამის დამადასტურებელია ქვემოთ მოყვანილი განცხადება, რომ საქართველო, უკრაინა, მოლდოვა ვერაფერს შესთავაზებენ ევროპულ ბაზარს ისეთს, რაც მათ არ აქვთ და რაც ევროკავშირის ბაზარზე გასაღდება. ჰამლეტ ჭიპაშვილი სიცრუედ მოიხსენიებს ევროკომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ბაროზუს „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ქვეყნების მისამართით გამოთქმულ განცხადებას, რომ შესაძლებელია საქართველოსთვის მოხდეს ნახევარმილიარდიანი ბაზრის კარის გახსნა. მისი აზრით, ბაზარი რომც იყოს ღიაა, მაგრამ აქვს კი ამ სამ ქვეყანას

---

[74] საქართველო და მსოფლიო/ცისფერი კაცუნები და ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ/08.02.2013 http://www.geworld.ge/View.php?ArtId=4631&lang=ge, P 1, 18.06.2019

[75] საქართველო და მსოფლიო/მეუფე იობი ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი:დღეს რასაც პოლიტიკას ვეძახით, ცბიერებასა და ტყუილზეა დაფუძნებული 17.05.2011 http://www.geworld.ge/View.php?ArtId=1745&Title=meufe+iobi,+urbnisisa+da+ruisis+mitropoliti:+dRes+rasac+politikas+veZaxiT,+cbierebaze+da+tyuilzea+dafuZnebuli&lang=ge , P1, 18.06.2019

არაფერი აქვთ ისეთი რამ, რაც გაიყიდება ევროპაში. მისი მთავარი ტკივილია რუსეთის ბაზრის დაკარგვა, რომელსაც ადარებს მილიონობით დოლარის ზარალის ტოლფასს ზარალს. ვცირიტრებთ ნაწყვეტს ამ განცხადებიდან:-,, უკრაინულ საქონელს არავინ ელოდება ევროპაში. რაც შეეხება ევროპულ საქონელს, ჩაწოლილს და ვადაგასულს, წინ არაფერი დაუდგება, უკრაინაში, საქართველოში, მოლდოვაში გასაღდეს, რაც, თავისთავად, გამოიწვევს აღნიშნული ქვეყნების სამამულო წარმოების პროდუქციაზე საშინაო კონკურენციას." ჰამლეტ ჭიპაშვილი.[76]

მითი ნომერი 3, დასავლური სამყაროს მხარდაჭერის ობიექტები არიან მხოლოდ კონკრეტული ძალები და არა თვითონ სახელმწიფო. ამ ძალიან სახიფათო მითის დასადასტურებლად პრორუსული ძალები იყენებენ ევროპელი და ამერიკელი ცალკეული პოლიტიკოსების თუ ექსპრტების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს და ასაღებენ როგორც ქვეყნის პოზიციას. არის შემთხვევებიც, როდესაც ამ ცალკეული პირების მიერ გაკეთებული განცხადებები მიეწერება ყოფილი მთავრობის მხარდაჭერას და ა.შ.

ამ კონკრეტული მითის გასამყარებლად გამოვიყენოთ ნინო ბურჯანაძის მიერ ერთ-ერთთან გაზეთთან მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული განცხადება, რომ დასავლური სამაყრო ლობირებს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს და სწორედ ამას უკავშირებენ მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებს. უკრაინაში კი, მიაჩნია, რომ სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებსა და ექიმებს პირდაპირ სანაგვე ურნებში რომ აგდებენ იმის გამო, რომ მათი შეხედულებები უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების შეხედულებებს არ ემთხვევა, ბურჯანაძეს მიაჩნია რომ ამაზე ევროპელები და ამერიკელები სდუმან. -,,რატომ?! იმიტომ, რომ,"ნაცმოძრაობის" ლიდერები დასავლეთის გარკვეულ წრეებს დავალებებს კარგად უსრულებენ." ნინო ბურჯანაძე, გაზეთი "ასავალ-დასავალი"[77]

ისლამურმა სამყარომ ბოლო პერიოდში მომხდარი და ძალიან გააქტიურებული ასიმეტრიულის აფრთხეების ფონზე შეიძინა ,,საშიში მოვლენის" იმიჯი საზოგადოებაში, ეს გავლენა ხშირ შემთხვევაში ვრცელდება ცალკეულ მუსულმან ადამიანებზეც ვრცელდება. პრორუსული ძალები კი შტაგონებენ საზოგადოებას,

---

[76] ევროკავშირი თუ ევრაზიული კავშირი?/ ჰამლეტ ჭიპაშვილი - პოლიტოლოგი. 23/11/2015/ http://www.isari.ge/EU_Eurasian_Union_22_11_15.php, P 2 , 18.06.2019

[77] ნინო ბურჯანაძე: დასავლეთი ,,ნაცმოძრაობას" საქართველოში რასაც აკეთებინებდა, იმავეს აკეთებინებს დღეს უკრაინაში/ 20/04/2015/ http://www.democrats.ge/ka/gantskhadebebi/4022-nino-burjanadze-dasavlethi-nacmodzraobassaqarthveloshi-rasac-akethebinebda-imaves-akethebinebs-dghes-ukrainashi.html, P1-2, 18.06.2019

რომ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი დაიცავთ მათ ისტორიული მტრისგან. განსაკუთრებით კი ეს მითი გააქტიურდა 2015 წელს თურქეთის მხრიდან რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდგომ.

-"არის კიდევ თურქეთი, რომელიც ასევე ოცნებობს თურქული იმპერიის, ოსმალეთის იმპერიის აღდგენაზე და ეს არაერთხელ უთქვამთ. რეალურად თურქეთი დღეს თავად არის ხალიფატის მხარდამჭერი."-განაცხადა დავით თარხან-მოურავმა.[78] მას მიაჩნია, რომ თურქეთი ხალიფატთან ერთად, საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით, სირიულ ე.წ სხვა ოპოზიციასაც უჭერს მხარს.

სამწუხაროდ, საზოგადოებაში ხშირად ვრცელდება იდეა, რომ დასავლეთი არასოდეს დათანხმება საქართველოს მიღებას ევრო-ატლანტიკური ოჯახის წევრად. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ისიც, რომ ახლაც და წინა მთავრობის პერიოდშიც, საქართველოსა და ნატოს ან ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლების თითოეული მაღალი დონის შეხვედრის შემდგომ მოსახლეობა აქვს მოლოდონი, რომ შედეგი უნდა დაიდოს მყისიერად. როგორც სხვა შემთხვევებში, არც აღნიშნული ფაქტი ფაქტი ეპარებათ პრორუსულ ძალებს და ცდილობენ ამ უკანასკნელის სათავისოდ გამოყენებას. ამ თემის ირგვლივ საინტერესოა ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ვერც ერთი შეხვედრის შემდეგ ვერ მივიღეთ გაწევრიანების გარანტია და ვერც მაპი. ასევე მას მოგყავს მაგალითად სტოლტენბერგისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინსიტრის განცხადება, რომ რუსეთში აღდგება ნატოს-ს საბჭოს მუშაობა. ამით ის ცდილობს დაგვანახოს რომ თვით ნატოც კი დაინტერესებულია რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით. [79]

ასევე საზოგადოებში განსაკუთრებით აქტუალურად მუსირებს აზრი, რომ ევროპა და ამერიკა საქართველოში მოითხსოვს ერთსქესიანთა ქორწილის დაკანონებას. ეს თემა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა საქართველოში არსებულ მწვავე საკითხთა შორის. ამ მითის გამავრცელებლებს კი რუსეთის დადებითად წარმოჩენის მიზნად მოჰყავთ 2013 წელს მიღებული კანონი ,,ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის

---

[78] Mpress.ge/ დავით თარხან-მოურავი – რელურად დღეს თურქეთი თავად არის ხალიფატის მხარდამჭერი/27 ნოემბერი 2015 http://mpress.ge/2015/11/%e1%83%93%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98%e1%83%97-%e1%83%97%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%9c-%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a3%e1%83-%a0%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98-%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9a/#ixzz3vcikIuId, P 1-2; 17.06.2019.

[79] დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო/ ნინო ბურჯანაძე: ვერც ნატოში გაწევრიანებაზე მივიღეთ გარანტია, ვერც მაპი/ 02/12/2015 http://www.democrats.ge/ka/media/mimdinare-movlenebi/4603-nino-burjanadze-verc-natoshigatsevrianebaze-mivigheth-garantia-verc-mapi.html, P 1, 18.06.2019

თაობაზე“. ამ კანონს, რა საკვირველია მოჰყვა მწვავე შეფასებები ადამიანის უფლებადამცველების მხრიდან. პუტინის პოზიციების გამყარებისთვის გამოიყენეს რუსეთუმეებმა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული 2014 წლის კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.” ამ თემის ირგვლის შემქნილი დრამის გამო, ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, სტეფან ფულემ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ევროკავშირს არ აქვს მოთხოვნა საქართველოს მიმართ დააკანონოს ერთსქესიანთა ქორწინება.[80]

რუსეთი ცდილობს კომპლექსური მეთოდების გამოყენებით საქართველოში სიტუაციაზე გავლენის მოხდენას, მისი მთავარი მისწრაფებაა ჩვენი ქვეყნის განვითარების დასავლური იდეა შეცვალოს და წაიყვანოს საკუთარი ინტერესების გატარებისკენ, ის ამისთვის მნიშვნელოვან რესურს დებს საზოგადოების მანიპულირების მიზნით. აღნიშნულ საკითხს შემდეგ ქვეთავებშიც მიმოვიხილავთ.

3.2 რბილი ძალის გამოყენების მეთოდები და სახეები

გერმანელი პუბლიცისტი, ჯოზეფ ჯოფი ამტკიცებდა, რომ ამერიკის რბილი ძალა იყო მისი ეკონომიკურ და სამხედრო აქტივებზე გაცილებით მასიურიც კი. ყოველივე ამის მიზეზად მას ამერიკული კულტურა მიაჩნდა და თვლიდა, რომ ამერიკის რბილი ძალა მართავდა იმპერიას, რომელშიც მზე არასდროს ჩადის. უპირობოდ, მთავრობის პოლიტიკა ქვეყნების საზღვრების შიგნითაც და გარეთაც განსაზღვრავს რბილი ძალის მიმართულებასერთ-ერთი უმთავრესი წყაროა ქვეყნის შიგნით და გარეთ. მკვლევარები ხაზს უსვამენ, რომ 1950 წელს აფრიკაში ამერიკული რბილი ძალის ძირშივე აღმოფხვრა გამოიწვია რასობრივმა დისკრიმინაციამ ქვეყნის

[80] ინტერპრესნიუსი/“ შტეფან ფულე - ევროკავშირი საქართველოსაგან ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვს“/04.03.2015/ http://www.interpressnews.ge/ge/politika/272550-shtefan-fuleevrokavshiri-saqarthvelosgan-erthsqesiantha-qortsinebis-dakanonebas-ar-ithkhovs.html?ar=A,P1, 18.16.2019

შიგნით.[81] ამერიკული რბილი ძალის შემასუსტებელი ევროპის მასშტაბით ასევე არის სიკვდილით დასჯის გამოცდილება და იარაღის კონტროლზე კანონის სისუსტე, ჯიმი კარტერის ,,ადამიანის უფლებების" პოლიტიკამ კრიტიკაც კი დაიმსახურა არგენტინასთან მიმართებით. ასევე, ამერიკის მიმზიდველობა საგრძნობლად შეარყია 2003 წლის ერაყის ომმა, ხალხს გაუჩნდა უარყოფითი დამოკიდებულება მაშინდელი პრეზიდენტის პოლიტიკის მიმართ. ამით ნათლად ჩანს, რომ ცალკეულ ქვეყნებში ადამიანები კულტურისა და პოლიტიკის განცალკევებას ახდენენ. უარყოფითი განწყობის არსებობის მიუხედავად, უმეტესწილად სხდასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები განაგრძონებ ამერიკის მიმდევრობას მისი სხვა სფეროების მოცემულობების გამო, მაგ: ტექნოლოგიები, მუსიკალური თუ კინო ინდუსტრია, ტელევიზია და ა.შ, რომლებიც პოპულარული გახდა სამთავრობო ჩარევის გარეშე. საინფორმაციო ტექლოგიების განვითარება უფრო აძნელებს სახელმწიფოებისთვის სხვა ქვეყნების პოპულარიცაზიას და მათი გავლენების გავრცელებასთან ბრძოლას. რაც, თავისთავად კიდევ უფრო აძლიერებს და მნისნელობას უზრდის რბილი ძალის იდეას და ასევე ეკონიმუკურ გავლენას მიზნის მისაღწევად. ამის მაგალითია ამერიკისა და ევროკავშირის მიერ რსუეთისთვის დაწესებული სანქციები.

რბილი ძალის თეორიის მნიშვნელობაზე საუბრისას, უნდა ვახსენოთ ასევე ტერორიზმისა და ომის პრივატიზაციის საკითხიც. სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ ინფორმაციულმა რევოლურიუმა განვითარებამ შეუწყო ხელი ტერორიზმის გაძლეირებას[82]. საინფორმაციო განვითარებამ ერთის მხრივ ხელი შეუწყო კომუნიკაციის გამარტვიებას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილში და მასობრივი განადგურების ხელმისაწვდომობა გაზარდა. XX საუკუნის ტერორიზმს პოლიტიკუ მიზნები ამოძრავებდა, რომლებიც ხშირად მთავრობების მხრიდანაც კი კონტროლდებოდა, XXI საუკუნეში კი რელიგიური მოტივაცია წამოვიდა პირველ პლანზე.

---

[81] Paul J. Zingg 1976 The Cold War in North Africa: American Foreign Policy and Postwar Muslim Nationalism 1945-1962, https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/j.1540-6563.1976.tb01894.x, P4-5; 18.06.2019

[82] The Role of Technology in Modern Terrorism - Reachable https://resources.infosecinstitute.com/the-role-of-technology-in-modern-terrorism/#gref, P 3-4, 18.06.2019

დღვანდელ სამყაროში ძალის სამი წყარო არსებობს: სამხედრო, ეკონომიკური და რბილი, რომლებიც სხვადასხვა ურთიერტობებში სხვადასხვანაირად გამოიყენება. თუმცა ინფორმაციული განვითარება და ეკონომიკური გლობალიზაცია მოქმედებს ყველაზე მასიურად.

სამეცნიერო წრეები საუბრობენ იმაზეც, რომ ამერიკის მფლობელობაში არსებული ყველაზე მეტი რესურსის, ეკონომიკური რეპუტაციისა და სხვა მიმზიდველობის ფაქტორების მიუხდავად, შეერთებული შტატები არ არის რბილის ძალის უზრუნვეყოფის საკითხში ლიდერი. ურო მეტიც, მას წინ უსწრებენ ნიდერლანდები, ბელგია, შვედეთი, ნორვეგია და ა.შ, რომლებიც საცხოვრებლად საუკეთესო ქვეყნებად ითვლება.

ქვეყნების მიმზიდველობაზე საუბრისას, აუცილებელია, აღვნიშნოთ გარდა ზემოთხსენებული ფაქტორებისა შრომის დასაქმების ბაზრის თემა. რუსეთი, რომელიც ძალიან ბევრ ქვეყანაში ახორციელებს საკუთარი ნარატივების გატარებას რბილი ძალს მეშვეობით, რა საკვირველია ამუშავებს ამ მექანიზმს საქართველოს ტერიტორიაზეც.

ჩვენთვის ცნობილია, რომ 2013 წლიდან საქართველოს მოხსნილი აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და მინერალურ წყლებზე ყველა შეზღუდვა რუსეთის ბაზარზე. რაც გვაძლევს საშუალებას, აღნიშნული ქმედება განვიხილოთ რუსული ჰიბრიდული სტრატეგიის ერთ-ერთ ელემენტად. ასევე, მათ შეუძლიათ აამოქმედონ უძლიერესი ბერკეტი, კერძოდ, გააუქმონ სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის, რაც ამ უკანასკნელებისთვის მოიტანს შრომის ახალიბაზრის გახსნას და უვადო ზლიერებას მოუტანს რბილი ძალის გავლენებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ორი ფაქტორი რუსეთს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი ნარატივების გატარების საუკეთესო შედეგის მომტანად, ყველაზე მეტად მოწყვლად სეგმენტს კი, განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენს.

სწორედ, ჩვენს მიერ ზემოთხსენებულს აღწერს გენერალი გერასიმოვი, როგორც სტრატეგიული მიზნების მიღწევის საშუალებას; ანუ ოფიციალურ მოსკოვს არ აქვს სამხედრო ძალის გამოყენების აუცილებლობა, როგორც თემის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ.

ჰიბრიდულ ომში ყველა კომპონტენტი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში საუბრობენ იმაზე, რომ ყველაზე მეტი სამუშაოს გატარება უნდა მოხდეს პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროებში.

რუსეთი ატრენინგებს არა მხოლოდ სპეცსამსახურის და სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებს, არამედ დიპლომატებსაც კი, ანუ მათ ვინც მონაწილეობს ქვეყნის საგარემო პოლიტიკის წარმართვაში. პროგრამას ,,სპეცპროპაგანდა“ ჰქვია და ის მოიცავს ეკონომიკის, სადაზვერვო, პოლიტიკის, სამხედრო, საკომუნიკაციო, კიბერ ომის წარმოების, დიპლომატიისა და ფსიქოლოგიურ მიმართულებებს.

რიგ შემთხვევებში პროპაგანდის მიზანია რუსული დიასპორის მიმზიდველობის გაზრდა საზღვრებს გარეთ და პროცესების წამორჩენა იმგვრადა, თითქოს მიმდინარეობს რუსულ და ევრაზიული კულტურის ბრძოლა დასავლურთან.

ასეთი ომი, შეგვიძლია განვიხილოთ პოლიტიკური მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. იგი უშუალო კავშირშია გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებასთან, კრემლი ახდენს ყველა სახის ინორმაციული საშუალებებით მანიპულირებას და ამით ქმნის ირეალურ მოცემულობას. გასაკუთრებული აქტივობით კი ამ მანქანას იგი ამუშავებს, კონფლიქტის ზონებში.

ინფორმაციული ომის სტრატეგიის შემუშავებასა და მის განვითარებაში, რუსეთს ,შესაძლოა ითქვას, ბადალი არ ჰყავს. ამ მიმართულებით კი განსაკუთრებული დამსახურებით გამოიეჩევიან იგონ პანარინი, რომელიც პოლიტიკური მეცნიერებებისა და ფსიქოლოგიის დოქტორია, ამჟამად კი რუსულ საგარეო საქმეთა სამინსიტროს დიპლომატიის აკადემიაში მოღვაწეობს. ერთი შეხვედვით მარივიტ ბიოგრაფიის მქონე პანარინი, კაგებეს ყოფილი თანამშრომელია და ვლადიმერ პუტინის ახლო წრის წევრად მოიხსენიება და ალექსანდრე გუდინი, ლომონოსვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, რომელიც ამავდროულად ფლობს დოქტორის ხარისხს პოლიტიკის მეცნიერებათა, ფილოსოფიისა და რელიგიის ისტორიის მიმართულებით, სწორედ მის სახელს უკავშირდება ვირტუალური ომის კონცეფციის შემუშავება.

პარანინის ნამუშევრებში (წიგნები, სტატიები) აშკარად იგრძნობა ნეგატიური დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, რომელსაც იგი რუსეთის წინააღმდეგ ინფორმაციული ბრძოლის წარმოებაში სდებს ბრალს. ავტორი გვთავაზობს ამ ომის ორ პერიოდად დაყოფას: პირველ არის სსრკ-ს დაშლამდე და მეორე, 2000-იანი წლებიდან. ასევე ამერიკის გავლენას უაკვშირებს შემდეგ მოვლენებს: ხავერდოვანი რევოლუცია ჩეხოსლოვაკიაში, ფერადი რევულიცები ყოფილ საბჭოურ ქვეყნებში, არაბულ გაზაფხულს. პარანინი ამბობს, რომ ინფორმაციული ომის მოსაგებად არ არის საკამრისი მხოლოდ ინფორმაციის

ფლობა, საჭიროა სასურველი ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საშუალებებით.[83]

დუგინი პარანინის მსგავსად იმ იდეის მიმდევარია, რომ პოსტსაბჭოურ ქვენებში მომხდარი რევოზულიცები რუსეთის წინააღმდეგ განცოხრიელებული მიზანმიმართული ქვემედებებია, რაც მისი გაგებით აშკარად პასუხობს ამერიკის ინტერესებს. ინფორმაციული ომის მნიშვნელობაც დუგინიც ბევრ ნაშრომში უსვამს ხაზს. მას მიაჩნია რომ, რუსმა პატრიოტებმა უნდა დააორგანიზონ სოც. მედიის ფორმირება ისე, რომ იგი პასუხობდეს რუსულ სახელმწიფო ინტერესებს. ის გამოირჩევა პრო დასავლური იდეოლოგიის წინააღმდეგ ღია მოწოდებებით.[84]

ზოგადად, რუსეთს პოსტსაბჭოური ქვეყნების დასავლეთთან ,,დამეგოობრების" სწრაფვას უაკვშირებს არა ქვეყნების ობიექტურ ინტერესებს, არამედ ამას განიხილავს როგორც დასავლური სამყაროს მხრიდან წარმოებულ წარმატებულ საინფორმაციო კამპანიას. ქვეყნების ამ მიმართულების სწრაფვამ შეასუსტა რეგიონში რუსეთის გავლენები.[85] ნათელია, რომ კრემლისთვის საერთაშორისო ასპარეზზე დომინირება პირველ რიგში გულისხმობს რეგიონზე გავლენის მოპოვებას, ამიტომ ის მაქსიმალურად ცდილობს კოლექტიურ დასავლეთთან ბრძოლას დასავლეთ ფლანგზე და ალტერნატიული გაერთიანების ცენტრის შექმნას, რისი ყველაზე ნათელი მაგალითი არის ევრაზიული კავშირი.[86]

საინტერესოა, ასევე რბილი ძალის კონტექსტში ღირებულებები, რომლებითაც რუსეთი ცდილობს გადაფაროს დასავლეთის მიმზიდველობა და წინა პლანზე წამოწიოს საკუთარი, როგორც მისაბაძი სახელმწიფოს ფაქტორი, არის საკმაოდ ბუნდოვანი. ასევე, კითხვისნიშნის ქვეშ დგება რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებების აღიარება ლეგიტიმურად ან მათი მორალური საფუძვლის არსებობა. მნიშვნელოვანია, ის გარემოებაც, რომ 2014 წელს ფონდის ,,რუსული სამყაროს" მხარდაჭერილმა პრორუსულმა ორგანიზაციამ, ,,ერეკლე მეორეს საზოგადოებამ" აქტირუად დაიწყო რუსული ენის პროპაგანდა და ჩამოაყალიბა რუსული ენის შემსწავლელი კურსი, სადაც 120 ადამიანი დარეგისტრირდა. მათ სახელს

[83] Information Warfare, PR, and the World Politics, Hotline – Telecom, 2006, P 40-50

[84] The United States and the New World Order (debate with Olavo de Carvalho), VIDE Editorial (2012); P 120-130

[85] Lutsevych L. Orysia, The long arm of Russian Soft power" Atlantic Council, May 4, 2016; Available athttp://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/the-long-arm-of-russian-soft-power 18.06.2019.

[86] akub Korejba, „Will Russia ever be Soft ", Latvian Institute of International Affairs, 2015; http://liia.lv/site/docs/LIIA_soft_power_book_web_layout.pdf; P 100-120, 18.06.2019

უაკვშირდება, ასევე, 2013 წლის 1 თებერვლიდან რუსული ენის შემსწავლელი უფასო კურსების დანერგვის პრაქტიკაც, რომელსაც საქართველოს საპატრიოარქოს დემოკრატიული მებაღეობის საზოგადოებრივ ჯგუფთან" ერთად ახორციელებდა.

რუსულ და ამერიკულ რბილ ძალას ერთამენთისგან განასხვავებს ის ფაქტორიც, რომ რუსეთი პარტნიორებს სთავაზობს ურთიერთობის იმგვარ ფორმატს, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ხელსაყრელი.[87] აქედან გამომდინარე, სიტუაციიდან გამოსვლას რუსეთი მუდმივად ცდილობს რბილი ძალის ამუშავებას იმ იდეით, რომ მაქსიმალურად გაავრცელოს ანტიდასავლური განწყობა საზოგადოებაში.[88]

საქართველოში, რუსული რბილი ძალისა და პროგაგანდის დაფიქსირება პირველად მოხდა 2017 წელს მიღებულ 2017-2020 წლების ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ მთავრობის სტრატეგიაში, სადაც აღნიშნულია, რომ მ „რუსეთი აქტიურად ეწევა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების ხელისშემშლელ პროპაგანდას".[89] იგივე საფრთხეა ნახსენები 2017-2020 წლების თავდავის სტრატეგიული მიმოხილვის (SDR) დოკუმნეტში, სადაც საუბარია რომ რუსეთის მიერ რბილის ძალის გამოყენება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. აქვე ნათქვამია, რომ „კრემლი განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს „რბილი ძალის" ელემენტების გაძლიერებაზე, სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტების, პრო-რუსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერებისა და დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაციისთვის".[90]

ჩვენ საზოგადოებაში აქტუალურია იმ ფენების მოწყვლადობა, რომლებიც განიცდიან ინფორმაციის ნაკლებობას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ასოცირებით მიღებული სარგებლის თაობაზე. სწორედ, რუსული ძალების აქტიურ

---

[87] Spruds, Andris and Rostoks Toms, "the different faces of "soft power: the Baltic States and Eastern Neighborhood between Russia and the EU"; Latvian Institute of International Affairs, 2015 Pg: 108-109; Available athttp://liia.lv/site/docs/LIIA_soft_power_book_web_layout.pdf; 18.06.2019

[88] Burlinova Natalia, "Russian Soft Power is just like Western Soft Power but with a twist", Russia Direct, April 7, 2015; Available athttp://www.russia-direct.org/opinion/russian-soft-power-just-western-soft-power-twist ,18.06.2019, P 1

[89] ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის; გვ.1-2; Available at- http://eu-nato.gov.ge/sites/default/files/pdf

[90] თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020 წლები. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; ხელმისაწვდომია https://mod.gov.ge/uploads/public/strtegiebi_kocefciebi/SDR_17-20.pdf Accessed on 18.06.2019, P 10-12;

მუშაობას უნდა მივაწეროთ ის ფაქტიც, რომ საზოგადოებაში უფროდაუფრო მცირდება ევრო-ატლანტიკური ინსტიტუციების მიმართ ნდობა და მათთან ინტეგრაციას აკავშირებენ ეროვნულ და კულტურულ თვითმყოფადობის დაკარგვასთანაც კი.

სოცოლოგიური გამოკითხვები კი ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებს. მაგალითისთვის განვიხილოთ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კვლევა, ,,ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში: ცვლილებები და ტენდენციები“. შედეგები საკმაოდ საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 28% რატომღაც მიაჩნია, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში ეს მოიტანს ტრადიციების პატივისცემის შემცირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დადებით მოლოდინს უარყოფითი აჭარბებს.

ცხრილი 1. (ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კვლევა) ქართული ტრადიციები და ევროკავშირში ინტეგრაცია. „თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება: ქართული ტრადიციების პატივისცემა.“

	2009	2011	2013	2015
საგრძნობლად შემცირდება/ შემცირდება	20%	17%	14%	28%
იგივე დარჩება	31%	29%	31%	34%
საგრძნობლად გაიზრდება/ გაიზრდება	22%	25%	30%	16%
არ ვიცი	27%	26%	24%	21%
უარი პასუხზე	1 %	4%	1%	1%

აღნიშნული კვლევა ნათლად აჩვენებს საზოგადოების დამოკიდებულებას, რაც კარგი დამადასტურებელია იმისა, რომ საჭიროა მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა ზემოთხსენებული საკითხის ირგვლივ.

კრემლის პოლიტიკურ ინსტრუმენტებს ასევე უთმობს ყურადღებას ამერიკა საკუთარ სადაზვერვო სამსახურის შეფასების დოკუმენტშიც. [91] ამერიკა მუდმივად ახსენებს რუსეთს იმ ფაქტს, რომ ისინი ცდილობდნენ გავლენის მოხდეს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. აშშ-ს შეფასების რუსული მხარის ქმედებები ემსახურებოდა მათი ლიბერალური დემოკრატიული წესრიგის ძირის გამოთხრას.

ოფიციალური კრემლი, ისევე როგორც საქართველოში, ამერიკაშიც ცდილობდა გავლენის მოხდენას საზოგადოებაზე და ჰილარი კლინტონის დისკრედიტაციას. ისინი ხაზვს უსვამენ, იმ ფაქტს, რომ რუსეთის მთავრობა აშკარად უჭერს მხარს დონალდ ტრამპს.

ამერიკული სადაზრვერვო სამსხურის დოკუმენტზე დაყრნობით, თანამედროვე მოსკოვი ძველი რუსეთის მსგავსად, აქტიურად იყენებს სადაზვერვო ოფიცრებსა და მედიას კრემლის მიმართ არაკეთილგანწყობილი ოპონენტების დისკრედიტაციისთვის.

ჩამოთვლილი კომპონენტები ასეთია:

1. კიბერ შეტევები ;
2. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მედია საშუალებები ;
3. შუამავლები (third-party intermediaries) ;
4. სოციალური მედია და ინტერნეტ „ტროლები“.[92]

ვაშინგტონის აზრით, რუსეთი მის მოკავშირე ქვეყნებშიც იყენებს მსგავს ტენდენციებს.[93] საქართველო, რა საკვირველია ამ ნიშნით რისკ ჯგუფშია. სადაზვერვო სამსახურის ანგარიშში ნახსენებია ისიც, რომ რუსეთის ეფექტიანი პროპანგა შესაძლოა გახდეს

[91] "Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections": The Analytic Process and Cyber Incident Attribution; Pg ii; 6 January 2017; Available at- https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf, 18.06.2019

[92] "Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections": The Analytic Process and Cyber Incident Attribution; Pg ii; 6 January 2017; Available at- https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf 18.06.2019

[93] Background to "Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections": The Analytic Process and Cyber Incident Attribution; Pg iii; 6 January 2017 Available at- https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf 18.06.2019

ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შენელების მიზეზი.[94]

2015 წელს სსიპ-მა ,,საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" ჩაატარა მოსახეობის ინფორმირების დონის გაზრდის მიზნით სხვადასხვა აქტივობა.[95] განხორციელებული 342 აქტივობის ფარგლებში მოხდა კომუნიკაცია საქართველოს დაახლოებით 43600 მოქალაქესთან. ატივობებსი მოიაზრება არა მხოლოდ უშუალოდ შეხვედრები მოქალაქეებთან, არამედ ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის თემატიკის ირგვლივ.[96] ევრაზიის თანამშრმლობის ფონდის ინიციატივით 2015 წელს CRRC საქართველომ ჩაატარა კვლევა ,,ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში ცვლილებები და ტენდენციები".[97] გამოკითხულთა 49% ის განცხადებით, ისინი ისურვებენ ევროკავშირის ირგვლივ ფლობდნენ მეტ ინფორმაციას, მაღალია მათი მაჩვენებელიც, ვინც აცხდებს, რომ ევროკავშირის შესახებ ინფორმაციას არ/ვერ იღებენ იმ წყაროებიდან, რაც საზოგადოებაში ინფორმაციის ძირითად გამარცელებლად მოიაზრება. [98] კვლევის თანახმად, 79% გამოკითხულთაგან აფიქსირებს სურვილს მიიღოს მეტი ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ და პრიორიტეტულ წყაროდ ასახელებს ტელევიზიას.

2017 წელს თებერვალსა და მარტში IRI-ს მიერ და NDI-ის მიერ აპრილში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლებებზე დაყრდნობის საფუძველზე

---

[94] Clapper, R.James„Statement for the Record Worldwide Threat Assessment of the US Intelligence Community Senate Armed Services Committee ", Russia and Eurasia: The Caucasus and Central Asia; pg- 19; Available athttps://www.dni.gov/files/documents/SASC_Unclassified_2016_ATA_SFR_FINAL.pdf 18.06.2019

[95] საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, ვინ ვართ ჩვენ?; ხელმისაწვდომია- http://infocenter.gov.ge/1005-vinvarth-chven.html, 18.06.2019

[96] ევროპული და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, 1 წლის ანგარიში. 2016 წელი. გვ. 2-3. ხელმისაწვდომია- http://www.eunato.gov.ge/sites/default/files/%E1pdf Accessed on 18.06.2019).

[97] „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში: ცვლილებები და ტენდენციები 2009 – 2015 წლებში"; ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი; გვ: 10 ხელმისაწვდომია- http://www.epfound.ge/wpcontent/uploads/2016/09/eu_attitudes_survey_ge_nov_24_1.pdf Accessed on 18.06.2019

[98] ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. გვ 10-11; ხელმისაწვდომია- http://www.epfound.ge/wp-ontent/uploads/2016/09/eu_attitudes_survey_ge_nov_24_1.pdf)

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მოსახლეობა კვლავ ტელევიზიას (93% IRI და 76% NDI) ირჩევს ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ.[99]

ამ შედეგზე დაყრდნობით, კი ვფიქრობთ, ევრო-ატლანტიკური მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კომპონენტად უნდა უნდა მოხდეს ტელევიზიის გამოყენება, როგორც ძირითადი საინფორმაციო წყაროსი.

ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ ოთხწლიანი (2017-2020) სტრატეგიის თანახმად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლება, არამედ ამავდროულად ანტიდასავლური პროპაგანდის გავლენების შემცირება. ასევე საზოგადოების მოლოდინის მართვაზე მახვილდება ყურადღება, მასზე მოქმედ მთავარ ფაქტორად კი რუსეთის მიერ აქტიური მეცადინეობა, გააღვივოს საზოგადოებაში უნდობლობა და იმედგაცრუება დასავლეთის მიმართ სახელედება.

მთავრობას გააჩნია სტრატეგია, რომლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის საფუძველზე ნაწილდება ორ მიმართულებაზე: ეროვნულსა და საერთაშორისო დონეზე. აქ იგულისხმება ერთის მხრივ ჩვენი მოსახლეობის დარწმუნება ევრო-ატლანტიკური ინსტიტუციების მიმზიდველობაში თვითმყოფადობის შენარჩნუბისა გავითარებისთვის გარდაუვალ ფაქტორად აღიარებისათვის და მეორე მხრივ, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ჩვენი ქვეყნის წარმოჩნა როგორც საიმედო და სტრატეგიული პარტნიორისა ყველა დარგში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში რუსულ რბილ ძალას გავრცელებაში ეხმარება არა მხოლოდ წარამტებით წარმოებული პროპაგანდა, არადამედ საზოგადოების ნაწილში არსებული ისტორიული განვითარების პირობებში ჩამოყალიბებული განწყობაც უწყობს ხელს. საზოგადოებაში, როგორც უკვე ვახსენეთ, საკმაოდ დაბალია ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუციებთან უშუალოდ თანამშრომლობითი გამოცდილება, სანაცვლოდ ხალხი მუდმივად იხსენებს საბჭოური პერიოდიდან რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის მაგალითებს.

2015 წელს CRRC-მ ჩაატარა კვლევა, ამჯერად ევროკავშირში მოგზაურობის ან ცხოვრების თაობაზე.[100] შედეგები ასე გადანაწილდა, გამოკითხულთა 3 %-ს

[99] Survey of Public Opinion in Georgia February 22 – March 8, 2017, International Republican Institute (IRI), Pg. 75 Available athttp://www.civil.ge/files/files/2017/Iri_Poll_2017.pdf საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2017 წლის აპრილი. ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ; საგარეო პოლიტიკა, გვ) ხელმისაწვდომია-. Available at- https://drive.google.com/file/d/0B4Ga_NfYjme2SDhPLTAwa20xeDQ

უცხოვრია 93 წლის შემდეგ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე სამ თვეზე ნაკლები ვადით. მოგზაურობის მიმართულებით ასეთი სურათია, გამოკითხულთა 9%-ის განცხადებით, მას პირადად ან მის ოჯახის წევრს აქვს გამოცდილება 93 წლის შემდეგ ევროპაში მგოზაურობისა.

ადამიანებისთვის, რომლებსაც არ უცხოვრიათ ან არ უმოგზაურიათ ევრო-ატლანტიკურ სივრცეში წარმოდგენის შექმნის ერთადერთი საშუალება არის საინფორმაციის წყაროებიდან მიღებული მონაცებები და ცნობები, ეს ყოველივე კი ხელს აძლევს რუსეთს სასურველი პროპაგანდის საწარმოებლად.

საინტერესოა, საზოგადოების განწყობა საქართველოში 2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე; ამის გასარკვევლად განვიხილოთ, NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც განხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით. კვლევიდან ვიგებთ, რომ მთავრობის მიერ განცხადებული მიზნის მიმართ დამოკიდებულება გახდეს ევროკავშირის წევრი, საზოგადოების როგორც 2012 წლიდან დამოკიდებულება მუდმივად იცვლება.[101] განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არსებობენ ადამიანები ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლებისთვისაც მიუღებელი საქართველოს ევოკავშირის წევრობა. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებით გააძლიეროს ასეთ ადამიანებთან მუშაობა ინფორმირებულობის კუთხით, რადგან ისინი წარმოადგენეენ ყველაზე მოწყვლად სეგმეტს რუსული ჰიბრიდული მანქანის ასამოქმდებლად. მოანცემები ასევე განსხვავებულია საქართველოს ტერიტორიის მიხედვით, ყველაზე მისაღები მთავრობის მიმარტულება არის თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების მასშტაბით, პატარა სოფლებსა და უმცირესობათა დასახლებებში საგრძნობლად განსხვავებული სურათი გვხვდება. [102]

---

[100] „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში: ცვლილებები და ტენდენციები 2009 – 2015 წლებში"; ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი; გვ.11; ხელმისაწვდომია- http://www.epfound.ge/wpcontent/uploads/2016/09/eu_attitudes_survey_ge_nov_24_1.pdf 17.06.2019

[101] საზოგადოების განწყობა საქართველოში 2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - ხელმოსაწვდომია https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final%20%281%29.pdf 18.06.2019, გვ 32;

[102] საზოგადოების განწყობა საქართველოში2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგები ჩატარებულიNDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - ხელმოსაწვდომია

ნატოსთან მიმართებითაც დაახლოებით ანალოგიურ სურათს ვაწყდებით, მოსახლეობაში არის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება.

მოსახლეობასთან მოხდა შემდეგი შეკითხვის დასმა, თუ რამდენად მისაღებია მათთვის საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული მიზანი, რომ საქართველოს გახდეს ნატოს- წევრი? თუ არ არის მისაღები, რამდენად არ არის მისაღები?[103] დამოკიდებულება, ანალოგიურად სხვადასხვაგვარია. ნებისმიერ ხდომლებას განაპირობებს მიზეზები. ამიტომ უნდა გავეცნოთ მიზეზებს რატო, ემხრობა ან არ ემხრობა საზოგადოება საქართველოს მთავრობის გაცხადებულ ნატოში ინტეგრირების საკითხს. [104]

ადამიანებმა შეკითხვას თუ რატომ არის მისაღები ნატოს წევრობა, უპასუხებს რომ მათი აზრით ეს უზრუნველყოფდა საქართველოს მეტ უსაფრთხოებას, გააუმჯობესებდა საქართველოს ეკონომიკას, ასევე სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას რუსეთისგან დაცვის საკითხში, დემოკრატიას გააძლიერებს და ა.შ. საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ ნატოს წევრობა საზოგადოებაში უსაფრთხოების უზრნველყოფასთან ასოცირდება.[105] ჩრდილო-ატლანტიკური გაერთიანების იდეაც, ხომ სწორედ კოლექტიური უსაფრთხოებასა და თავდაცვას ემსახურება. თუმცა, მედალს ყოველთვის ორი მხარეს აქვს და ახლა გავეცნოთ მოწინააღმდე საზოგადოების მამოტივირებელ ფაქტორებსაც.[106] ესენია, კონფლიქტი რუსეთთან,

---

https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final%20%281%29.pdf 18.06.2019, გვ 33;

[103] საზოგადოების განწყობა საქართველოში2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგები ჩატარებულიNDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - ხელმოსაწვდომია https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final%20%281%29.pdf 18.06.2019, გვ 47;

[104] საზოგადოების განწყობა საქართველოში2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგები ჩატარებულიNDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ - ხელმოსაწვდომია https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final%20%281%29.pdf 18.06.2019, გვ 49;

